შირაქი

SHIRAKI

გამოდის 1937 წლიდან

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის გაზეთი

№36 (10.091)

30 სექტემბერი–7 ოქტომბერი 2023

ფასი: 60 თეთრი

ყოველკვირეული გამოცემა

30 წელი სოხუმის დაცემიდან

იდგა 1993 წელი. ჯვართამაღლების დღე. ამ დღის მადლი აფხაზეთიდან გამოღწეულმა ცუდმა ამბავმა გააფერმკრთალა. სოხუმი დაეცა!-მეხივით გავარდა ხმა საქართველოს დედაქალაქში, დედა უნივერსიტეტის კედლებში., ყველგან...

დაუჯერებელ ამბებად აიკინძა მრავალი სიახლე: ჟიული შარტავა მოუკლავთო, რეზო მიშველაძის ბიჭი აჩიკო, ირაკლის მამაც... და ასე იზრდებოდა მოკლული, დახვრეტილი, დაკარგული სამშობლოს დამცველების გულისგასახეთქი სია.

მერე იყო ჭუბერის უღელტეხილი-ჯოჯოხეთისგან თავისდაღწევის ერთადერთი იმედიანი გზა, მეორე სიკვდილის გზად რომ იქცა ბევრისთვის. დაღუპული და გზად დაკრძალული ახლობლები, ბევრი ამქვეყნიური ტკივილი და ყველაზე დიდი იმედგაცრუება-საკუთარი სისხლისა და ხორცის ღალატი...

მერე ივსებოდა და ივსებოდა თბილისი და დანარჩენი საქართველო შვილმკვდარი, ოჯახამოწყვეტილი, ერთმანეთდაკარგული, სახლ-კარდაქცეული, საკუთარი ეზოებიდან, ერთი ხელი ტანსაცმლის ამარა, ცეცხლის წვიმაში გამოღწეული ცრემლიანი სახეებით.

ყვებოდნენ დაუჯერებელ ისტორიებს არაადამიანობაზე, სისასტიკეზე, ადამიანობაზეც, თანადგომაზეც და გაუსაძლის პირობებში, ჩვენამდე ძლივსჩამოტანილ სიცოცხლეზე.

ხალხი ერთმანეთს გადასცემდა ისტორიებს ქართველი მამულიშვილების გმირობაზე, თავდადებაზე, სამშობლოს სიყვარულზე, რომლის გვირგვინი იყო, კარგა ხნის შემდეგ, გაცრეცილ ვიდეოზე ნანახი ვაჟკაცობის აპოთეოზი-

На коленях..

Никогда, в жизни!

გადაივსო თბილისი ომგამოვლილი და ძლივსგადარჩენილი ლტოლვილებით, შავი და მგლოვიარე ტანსაცმლითა და სახეებით. მრუმე და სევდიანი გახდა სასტუმროები, აივნებიდან გადმოფენილი სარეცხით სავსე თოკებით, რომლებიც მანამდე უცხოელი სტუმრების ნავსაყუდელი გახლდათ. იმ დღეებში იცვალა ფერი საქართველომ, გულგაგლეჯილმა და მრავლისმნახველმა.

ეს ტკივილი დღემდე გრძელდება, მიუხედავად იმისა, რომ თაობები შეიცვალნენ. ომგამოვლილების დიდი ნაწილი გარდაიცვალა, ახალგაზრდების დიდ ნაწილს მხოლოდ სიზმარეულ მოგონებადღა შემორჩა აფხაზეთის ხატება, მაგრამ მშობლიური მიწისა თუ სახლის ნოსტალგია და იქ დაბრუნების სურვილი მარად ანთია მათ გულებში.

* * *

თავის წიგნში „სოხუმში დაბრუნება“ გურამ ოდიშარია ამერიკელი მეცნიერის ჯონ ლილის დელფინის სიკვდილისწინა ფრაზას იხსენებს - „ჩვენ მოგვატყუეს“... და თავადაც აღიარებს, რომ მოტყუებულია. მოტყუებულია ქართველიც და აფხაზიც. მოტყუებულია ის, ვინც შურისძიებაზე ფიქრობს და ისიც, ვინც დღეს გამარჯვების მორიგ წლისთავს აღნიშნავს სოხუმში. იმის გააზრება, რომ მოტყუებული ხარ, საკუთარი შეცდომის აღიარებასაც გულისხმობს. მხატვრულ-დოკუმენტურ ნარკვევში „დევნილთა უღელტეხილი“ იგი წერს, მშვიდობიანობის ჟამს მხოლოდ ერთეულები გრძნობენ სიყვარულის სიდიადეს, უმრავლესობას კი, ჩვენდა საუბედუროდ, თურმე რაღაც დიდი გასაჭირი სჭირდება თვალის ასახელადო... და სწორედაც რომ „თვალის ახელას“, ანუ კათარზისს, ჰგავს სოხუმელი მწერლის პროზა... იგი დარწმუნებულია, ქართულ-აფხაზური კონფლიქტი მხოლოდ მაშინ მოგვარდება, როცა დაპირისპირებულ მხარეებში „კათარზისის ნება“ გაჩნდება. თუმცა რატომ - „გაჩნდება“? გურამ ოდიშარიას თქმით, ჯერ კიდევ ომის დროს უამრავმა ქართველმა და აფხაზმა დასძლია თავის თავში „მტრის სახე“, ან, უბრალოდ, განგებამ დააძლევინა.

„როგორც იქნა, წამოწვიმა.

გუბურაში წვიმის წვეთებით დაცხრილულმა, სველი ღრუბლების სველმა ლანდებმა, ზღვა გამახსენა.

ზღვამ – სოხუმი, სანაპირო, დელფინები...

მომაგონდა ამერიკელი მეცნიერის, ჯონ ლილის ერთ-ერთი დელფინის სიკვდილისწინა ფრაზა, წარმოთქმული ინგლისურად: „ჩვენ მოგვატყუეს!“

მილიონჯერ მოუსმინა ჯონ ლილიმ ამ ჩანაწერს და ვერც მან და ვერც სხვებმა ვეღარ გაიგეს, როგორ შეძლო მომაკვდავმა დელფინმა ამ სიტყვების წარმოთქმა, ან რას ნიშნავდა „ჩვენ მოგვატყუეს!“

და მაინც, დიდხანს რომ იფიქრო, დიდხანს და მშვიდად, დედამიწის ნებისმიერ კუთხეში მცხოვრებთა სათქმელს ამბობდა დელფინი. თუნდაც ჩვენსას – ჩვენც ხომ მოგვატყუეს!

ჩვენ მოგვატყუეს – იმედით, რწმენით, მოწოდებით, ისტორიით, იდეოლოგიით, შემართებით, თავისუფლებით, მშვიდობით, ბრალდებით!

ჩვენ მოგვატყუეს – მიტინგებით, შეძახილებით, მოლაყბეებით, ტახტებით, დროშებით, გაზეთებით, ტელევიზიით, ანგარიშსწორებით, ბელადობით!

ჩვენ მოგვატყუეს – სიძულვილით, გულუბრყვილობით, სიბრიყვით, შიშით, ილუზიით, პატივმოყვარეობით, ავსიტყვაობით!

ჩვენ მოგვატყუეს – იარაღით, სისხლით, დემოკრატიით, პარტიებით, ფულით, კომფორტით, გაერთიანებით, დაქსაქსვით, სიგიჟით, ომით!

ჩვენ მოგვატყუეს – კვნესით, ვაებით, დასახიჩრებული სხეულებით. ცეცხლით, წამებით, გაუპატიურებით, ბანგით, სიკვდილით, სიცოცხლით!

ჩვენ მოგვატყუეს – ბრალდებით, მშვიდობით, თავისუფლებით, შემართებით, იდეოლოგიით, მოწოდებით, რწმენით, იმედით!..

ჩვენ მოგვატყუეს – ყველამ და ყველაფერმა!

ჩვენ მოგვატყუეს – გუშინ, დღეს და ხვალ! ხვალაც კი, ხვალაც მოგვატყუეს! ჩვენ ჯადოსნურ წრებრუნვაში ვართ!

ჩვენ მოგვატყუეს!

მოგვატყუეს!

ჩვენ მოგვატყუეს, რათა ჩვენ მოვკვდეთ,

მაგრამ”...

ჩვენ სოხუმში გემით დავბრუნდებით. ზღვა იქნება ლურჯი და მშვიდი...

მოამზადა

ინგა ჭიოლაშვილმა

„რთველი წარმატებით მიმდინარეობს“

„რთველი წარმატებით მიმდინარეობს. მოსავლის აღება და, ზოგადად, ყურძნის ჩაბარების პროცესი ძალიან კარგად არის ორგანიზებული“, - ამის შესახებ საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა თელავში რთველის საკოორდინაციო შტაბის წევრებთან შეხვედრის შემდეგ ჟურნალისტებთან საუბრისას განაცხადა.

პრემიერის თქმით, დღევანდელი მდგომარეობით უკვე ჩაბარებული და გადამუშავებულია 170 ათასი ტონა ყურძენი. დაახლოებით 200 მლნ ლარის შემოსავალი მიიღეს კახელმა მევენახეებმა.

„დავათვალიერე და გავეცანი შტაბის მუშაობას. რთველი წარმატებით მიმდინარეობს. მოსავლის აღება და, ზოგადად, ყურძნის ჩაბარების პროცესი ძალიან კარგად არის ორგანიზებული. შტაბი ძალიან ეფექტურად მუშაობს. უკვე ჩაბარებული და გადამუშავებულია 170 ათასი ტონა ყურძენი და დაახლოებით 200 მლნ ლარის შემოსავალი მიიღეს კახელმა მევენახეებმა უკვე.

ასევე მინდა გითხრათ, რომ 300-მდე კომპანია არის ჩართული ამ პროცესში. ჯამში 450 კომპანიაა ქვეყანაში, მაგრამ აქედან 300 კომპანია არის ჩართული. მინდა გითხრათ, რომ მე ძალიან კმაყოფილი ვარ ჩვენი შტაბის მუშაობით. ისინი ლაივრეჟიმით აკონტროლებენ ყველა ქარხნის მუშაობას, მიღების პროცესს, დაწყებული მიღებიდან, ჩაბარების, მთელ პროცესს აკვირდებიან და აკონტროლებენ. ასე რომ, კიდევ ერთხელ მინდა მადლობა გადავუხადო ბატონ ოთარ შამუგიას, მის გუნდს, შტაბს მთლიანად, ყველას, ვინც ამ პროცესში არის ჩართული.

ბოლო წლებში, იცით, ჩვენი ხელისუფლება მაქსიმალურად დაეხმარა და ეხმარება მევენახეებს. მევენახეობა არის სტრატეგიული დარგი ჩვენთვის, ჩვენი ქვეყნისთვის, ეკონომიკისთვის. ჩვენ ღვინის ქვეყანა ვართ, ღვინის სამშობლო ვართ, ასე რომ, განსაკუთრებული დამოკიდებულება სწორედ ამიტომაც გვაქვს ჩვენ ამ დარგის მიმართ.

შედარებისთვის მინდა შეგახსენოთ ყველას, რომ 2012 წელს 25 ათასი ჰექტარი იყო ქვეყანაში. დღეს არის 50 ათასი ჰექტარი უკვე, რაც, რა თქმა უნდა, ძალიან დიდი პროგრესია ბოლო 10 წლიწადში. ეს არის ჩვენი პროგრამების, დახმარებების შედეგი. ასევე გეტყვით, რომ თუ მაგალითისთვის, 2012 წელს 20 მილიონი ლიტრი ღვინო იყო ექსპორტზე გატანილი, შარშან რეკორდული, 100 მილიონზე მეტი ლიტრი ღვინო გაიყიდა. ჯამურად შარშან 400 მილიონი დოლარის ექსპორტით მიღებული შემოსავალი მიიღო ქვეყანამ. ეს, რა თქმა უნდა, გადანაწილდა ამ ოჯახებში, რეგიონში და არა მხოლოდ ამ რეგიონში, არამედ სხვა

რეგიონებშიც, სადაც არის მეღვინეობა განვითარებული.

450 კომპანიაა, ადრე იყო რამდენიმე ათეული კომპანია, როგორც უკვე მოგახსენეთ და საერთოდ, არავითარი დახმარება არ ეძლეოდათ მევენახეებს და მეღვინეობას, ზოგადად, ამ დარგს.

ასე რომ, ჩვენ კიდევ ერთხელ გავაგრძელებთ ამ დახმარებებს, იქნება სუბსიდირების სახით თუ სხვა პროგრამების სახით, უამრავი პროგრამაა ასეთი. ვფიქრობ, რომ ჩვენი მოსახლეობა კმაყოფილი იქნება წელს“, - განაცხადა პრემიერმა.

საქართველოს პრემიერ-მინისტრმა თელავში, რთველის საკოორდინაციო შტაბში, შტაბის წევრებისგან რთველის შესახებ ინფორმაცია მოისმინა.

რთველის საკოორდინაციო შტაბი ოფიციალურად 24 აგვისტოს გაიხსნა და რთველის განმავლობაში 24-საათიან რეჟიმით მუშაობს. შტაბი კოორდინაციას უწევს რთველის ორგანიზებულად ჩატარებას. რთველის წინამოსამზადებელი სამუშაოების ორგანიზების მიზნით შტაბის წევრების ნაწილი კახეთში აგვისტოს დასაწყისიდან იმყოფებიან.

ადგილზე მუდმივად არის შტაბის 20 წევრი; შტაბს ხელმძღვანელობს ღვინის ეროვნული სააგენტოს თავმჯდომარე ლევან მეხუზლა. შტაბის შემადგენლობაში არიან კახეთის მუნიციპალიტეტების კოორდინატორები, რომლებიც ორგანიზებას უწევენ ყურძნის ჩაბარების პროცესს, ღვინის საწარმოებთან ყურძნით დატვირთული მანქანების ნაკადების მართვას; ასევე შტაბში იმყოფება ტექნიკური პერსონალი რეგისტრაციისა და აღრიცხვის მიმართულებით. ყურძნის აღრიცხვა ერთიან ელექტრონულ სისტემაში მიმდინარეობს.

დღევანდელი მდგომარეობით, რთველი 2023 წლის ფარგლებში, გადამუშავებულია 170 ათასი ტონა ყურძენი, აქედან 68 ათას ტონამდე - რქაწითელი, 92 ათას ტონამდე - საფერავი, 3 ათასი ტონა - კახური მწვანე და დანარჩენი სხვადასხვა ჯიშის ყურძენია.

მოსავალი საწარმოებს 13 ათასამდე მევენახემ ჩააბარა. მათი შემოსავალი 170 მლნ ლარს აღწევს.

ამასთან ერთად, სახელმწიფო ღვინის საწარმო შპს „მოსავლის მართვის კომპანიის“ მიერ გადამუშავებულია 19 ათასი ტონა კლიმატური პირობების გამო დაზიანებული ყურძენი. დაზიანებული ყურძნის რეალიზაციით მევენახეების მიღებული შემოსავალი 17,1 მლნ ლარს აღწევს.

რთველი სხვადასხვა აქტივობით მიმდინარეობს კახეთის ყველა მუნიციპალიტეტში.

ფქვილის ფასი კლებას განაგრძობს

რუსული ხორბლის ფასი კლებას განაგრძობს. რუსეთის საექსპორტო ფასი ტონაზე 240 დოლარია, რისი მინიმუმიც ივლისის შუა რიცხვებში დაფიქსირდა, როცა FOB-ფასი 230 დოლარს შეადგენდა. მარცვლეულის მწარმოებელთა კავშირი მოელის, რომ რუსული მარცვლეულის საექსპორტო ფასი კვლავ ამ მინიმუმამდე დაეცემა.

ხორბლის საიმპორტო ფასი 1 ტონაზე 30 დოლარით არის შემცირებული ბოლო 3 თვის განმავლობაში საქართველოშიც. კერძოდ: ივნისში საქართველომ რუსეთში იყიდა 2,560 მლნ დოლარის ღირებულების 9 887 ტონა ხორბალი, ტონაზე საშუალო ფასი 258 დოლარი, ივლისში - 5 914 მლნ დოლარის ღირებულების 25 446 ტონა (საშუალო ღირებულება - 232 დოლარი ტონაზე), აგვისტოში - 5,989 მლნ დოლარის 26 363 ტონა (საშუალო ღირებულება - 228 დოლარი ტონაზე).

რაც შეეხება საერთო მაჩვენებელს, წელს იანვარ-აგვისტოში საქართველომ რუსეთისგან 32.04 მლნ აშშ დოლარის 117 907 ტონა ხორბალი იყიდა.

რაც შეეხება სრულ მონაცემებს, მიმდინარე წლის 8 თვეში საქართველომ 32.6 მლნ აშშ დოლარის 119 456 ტონა ხორბალი იყიდა, გასული წლის ანალოგიურ პერიოდში კი, 30.7 მლნ აშშ დოლარის 85 326 ტონა ხორბალი.

რუსული ხორბლის იმპორტის ზრდა, საქართველოში ფქვილზე ახალი რეგულაციის დაწესებამ გამოიწვია.

12 ივნისს საქართველოში ფქვილის იმპორტზე დროებით საიმპორტო საფასური დაწესდა, რომელიც ძალაში 5 თვეს იქნება.

შედეგად, საქართველოში შემცირებულია ფქვილის იმპორტი. 2022 წლის იანვარ-აგვისტოში 45.2 მლნ აშშ დოლარის 119 376 ტონა ხორბლისა და ჭვავის ფქვილი შემოვიდა, მიმდინარე წელს კი, 29.3 მლნ აშშ დოლარის 104 980 ფქვილი.

ცნობისთვის, რუსულ ხორბალზე ფასების კლება ოქტომბერშიც გაგრძელდება. ამის შესახებ რუსეთის მარცვლეულის მწარმოებელთა კავშირის ანალიტიკური განყოფილების დირექტორმა, ელენა ტიურინამ, „აგროინვესტორთან“ ინტერვიუს დროს განაცხადა.

ფქვილის ფასის შემცირებასთან ერთად სექტემბრიდან უკვე გაიაფდა ბუნებრივი აირის საფასური საცხობებისთვის, თუმცა ამას პურის ფასის კლება არ მოჰყოლია.

ნელს ცოფის 68 შემთხვევა დაფიქსირდა

წელს ცოფის შემთხვევების მცირედი ზრდა გვქონდა, ცოფის 68 დადასტურებული შემთხვევა გვაქვს, - ამის შესახებ სურსათის ეროვნული სააგენტოს ვეტერინარიის დეპარტამენტის წარმომადგენელმა, თენგიზ ჩალიგავამ „ინტერპრესნიუსს“ განუცხადა.

მისივე თქმით, ცოფის გამოვლენის კერებში, სურსათის ეროვნულმა სააგენტომ კარანტინი გამოაცხადა და შესაბამისი საკარანტინე ღონისძიებები გაატარა.

„სურსათის ეროვნული სააგენტო ყოველწლიურად ახდენს 300 ათასამდე ამთვისებელი ცხოველის ვაქცინაციას. მიუხედავად ვაქცინაციისა, რადგან ვირუსი ქვეყანაში ცირკულირებს, მაინც ხდება გამოვლინება. ცხოველებში, ცოფის შემთხვევები დაახლოებით 63 %-ით შემცირდა 2013 წელთან შედარებით, თუმცა, წელს ცოფის შემთხვევების მცირედი ზრდა გვქონდა, რომელიც სხვადასხვა ფაქტორთანაა დაკავშირებული, განსაკუთრებით იმ ფაქტორთან, როდესაც ვირუსი ცირკულირებს და იგი ნახავს აუცრელ ამთვისებელ ცხოველს, მაშინვე გამოვლინდება. ჩვენი რეაგირებაა, რომ მაქსიმალურად გავზარდოთ დაფარვა, რათა ყველა ცხოველი მაქსიმალურად იყოს ვაქცინირებული. ცოფის გამოვლენის დროს, სურსათის ეროვნული სააგენტო საკარანტინე ღონისძიებებს ატარებს საქართველოს დადგენილების შესაბამისად, კერძოდ, კერაში, 3 კილომეტრის რადიუსზე.

ყველა ცხოველი იცრება, მათ შორის, სასოფლო-სამეურნეო. წელს დაფიქსირდა 68 დადასტურებული შემთხვევა. გამოვლენის კერებში, სურსათის ეროვნულმა სააგენტომ კარანტინი გამოაცხადა და ჩატარდა საკარანტინე ღონისძიებები“, -აღნიშნა თენგიზ ჩალიგავამ.

კოვიდ 19-ით ინფიცირების შემთხვევები მატულობს

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტში კოვიდ 19-ის გავრცელების შემთხვევებმა ისევ იმატა. როგორც საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრის მთავარი ეპიდემიოლოგი ლალი ალადაშვილი ამბობს, ყოველდღიურად ინფიცირების საშუალოდ 6-8 შემთხვევა ფიქსირდება. თუმცა, ეს სრულ სურათს არ ასახავს. ვინაიდან შტამი შედარებით სუსტია, მოქალაქეები ტესტირებას თითქმის აღარ მიმართავენ.

„მომატებულია ინფიცირების შემთხვევები. რამდენიმე საბავშვო ბაღში სასწავლო-აღმზრდელობითი პროცესი დროებით შეფერხდა, ცალკეული ჯგუფებიც დაიხურა, თუმცა ამჟამად ყველა ჯგუფი აღდგენილია. რომელიმე ბაღის დახურვის საჭიროება არ დამდგარა. მართალია ინფექციას ამ ეტაპზე პანდემიური ხასიათი აღარ აქვს, მაგრამ დაავადების პრევენციისთვის, აუცილებელია ისევ დავიცვათ დისტანცია და პირადი ჰიგიენის წესები.,“ – აღნიშნა ალადაშვილმა.

ტესტირების ჩატარება კვლავაც უფასოა დედოფლისწყაროს ჯანდაცვის ცენტრის შენობაში და დედოფლისწყაროს საავადმყოფოში. ინფიცირებულების ნაწილი დედოფლისწყაროს საავადმყოფოში მკურნალობს, მათ უმრავლესობას კი ინფექცია მსუბუქი ფორმით გადააქვს. ხშირ შემთხვევაში ინფექცია მოქალაქეებში უსიმპტომოდ მიმდინარეობს. კოვიდ 19-თან ერთად მომატებულია სეზონური ვირუსების მაჩვენებელიც.

დედოფლისწყაროს საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრი მოსახლეობას რეკომენდაციით მიმართავს, უზრუნველყონ პირადი ჰიგიენა და საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებში დაიცვან დისტანცია.

მორიგი კვლევის შედეგები

Edison Research-ის საზოგადოებრივი აზრის გამოკითხვის შედეგების თანახმად, საქართველოს NATO-ში გაწევრიანებას მოსახლეობის 83% უჭერს მხარს. ხოლო ევროკავშირში გაწევრიანებას, მოსახლეობის 90% ემხრობა.

კვლევის თანახმად, საქართველოს NATO-ში გაწევრიანებას ეწინააღმდეგება - 17%, ხოლო ევროკავშირში გაწევრიანების წინააღმდეგია 10%.

საზოგადოებრივი აზრის გამოკითხვა ტელეკომპანია „ფორმულას“ დაკვეთით ავტორიტეტულმა საერთაშორისო კვლევითმა კომპანიამ Edison Research-მა ჩაატარა.

კვლევის ფარგლებში, პირისპირი გამოკითხვის მეთოდით, ქვეყნის მასშტაბით შემთხვევითი შერჩევით გამოიკითხა საქართველოში მცხოვრები 1500 საარჩევნო უფლების მქონე 18 წლისა და მეტი ასაკის ადამიანი.

ცდომილება არის +/- 3%, 95%-იანი სანდოობის დონისთვის. საველე სამუშაოები მიმდინარეობდა 2023 წლის 7 სექტემბრიდან 24 სექტემბრის პერიოდში.

საგზაო ინფრასტრუქტურის მოწყობა აქტიურად გრძელდება

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტში საგზაო ინფრასტრუქტურის მოწყობა აქტიურად გრძელდება.

სოფელ ზემო მაჩხაანში მეოთხე და ოცდამეოთხე ქუჩებზე ასფალტის საფარის დაგება მიმდინარეობს. ინფრასტრუქტურული პროექტი დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მერმა ნიკოლოზ ჯანიაშვილმა მოადგილესთან, გელა სამუკაშვილთან ერთად დაათვალიერა.

პროექტის ფარგლებში ეწყობა ასფალტ-ბეტონის საფარი და სანიაღვრე არხები. მისი ღირებულება 699 777 ლარია.

სამუშაოებს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდის დაფინანსებით დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მუნიციპალიტეტის მერია ახორციელებს.

„ყველაფერს გავაკეთებთ, რომ ბაღები გავხადოთ სანიმუშო“

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მერი ნიკოლოზ ჯანიაშვილი დედოფლისწყაროს სკოლამდელი სააღმზრდელო ცენტრის დირექტორთან ირმა ჯანაშვილთან ერთად ზემო ქედის და არხილოსკალოს საბავშვო ბაღებს ეწვია და მიმდინარე სააღმზრდელო პროცესს ადგილზე გაეცნო.

„ხელისუფლებაში მოსვლის პირველივე დღიდან ჩვენი ერთ-ერთი უმთავრესი პრიორიტეტი მომავალ თაობაზე ზრუნვაა. ამ წლების განმავლობაში ყველაფერს ვაკეთებთ იმისათვის, რომ ბაღები გავხადოთ სანიმუშო და ამ ამოცანას თავს წარმატებით ვართმევთ. ასევე ვზრუნავთ მომუშავე პერსონალის კეთილდღეობისთვისაც. ამ ყველაფრისთვის მადლობას არ ვითხოვთ. თქვენი მადლობა იქნება, თუ მეტი მონდომებით იზრუნებთ ჩვენი ქვეყნის მომავლისთვის“ - განაცხადა ნიკოლოზ ჯანიაშვილმა პედაგოგებთან საუბარში.

„ჩვენი სამყაროს გარდაქმნა: 2030 წლის დღის წესრიგი მდგრადი განვითარებისთვის“

28 სექტემბერს, დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მდგრადი განვითარების მიზნების ადგილობრივი ჩარჩო დოკუმენტის პროექტის შექმნასა და შემუშავებაში დაინტერესებულ პირებთან ონლაინ შეხვედრა გაიმართა.

შეხვედრას უძღვებოდა ნიკოლოზ ჩანადირი, კონსულტანტი SDG ლოკალიზების საკითხებში, რომელმაც დამსწრე საზოგადოებასთან ერთად დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მდგრადი განვითარების მიზნების ადგილობრივი ჩარჩო დოკუმენტის პროექტი განიხილა. მან აღნიშნა, რომ „დაინტერესებული მხარეების ჩართულობა დოკუმენტის მომზადების პროცესში განსაკუთრებით მნიშვნელოვანია. კომენტარები, შემოთავაზებები და შენიშვნები დოკუმენტთან დაკავშირებით ხელს შეუწყობს დოკუმენტის სრულყოფილ და სწორ ჩამოყალიბებას“. ონლაინ სამუშაო შეხვედრაში მონაწილეობა მიიღეს განათლების, მედიისა და დედოფლისწყაროს ადგილობრივი განვითარების ჯგუფის წარმომადგენლებმა.

პ.ს. გაერთიანებული ერების ორგანიზაციის (შემდგომში – გაერო) გენერალურმა ასამბლეამ 2015 წლის 25 სექტემბერს მიიღო A/RES/70/1 რეზოლუცია. „ჩვენი სამყაროს გარდაქმნა: 2030 წლის დღის წესრიგი მდგრადი განვითარებისთვის“, რომლის განუყოფელი ნაწილია მდგრადი განვითარების 17 მიზანი და 169 ამოცანა“. 2017 წლის 6 ივლისს კი, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის A/RES/71/313 რეზოლუციით დადგინდა მდგრადი განვითარების მიზნების ინდიკატორთა ჩამონათვალი. მდგრადი განვითარების მიზნები მსოფლიოს გარშემო აერთიანებს სხვადასხვა ქვეყნის ხელისუფლებასა და მოსახლეობას შემდეგი ღირსეული ამოცანების შესასრულებლად: სიღარიბისა და შიმშილის აღმოფხვრა, ჯანდაცვისა და განათლების სისტემის გაუმჯობესება, თანასწორობის ხელშეწყობა, ქალაქების მდგრადობა, კლიმატის ცვლილებების წინააღმდეგ ბრძოლა, ოკეანეებისა და ტყეების დაცვა, ყველა დონეზე ეფექტიანი, ანგარიშვალდებული და ინკლუზიური ინსტიტუციების მშენებლობა. გაეროს მდგრადი განვითარების მიზნები წარმოადგენს ათასწლეულის განვითარების მიზნების ლოგიკურ გაგრძელებას, რომელთა შესრულების ვადა 2000 – 2015 წლების პერიოდს მოიცავდა. 2015 წელს, ამ მიზნების შესრულების ვადის დასასრულს, გაეროს ათასწლეულის მიზნები გარდაიქმნა უფრო ყოვლისმომცველ – მდგრადი განვითარების მიზნებად. 2015 წელს საქართველომ, გაეროს ყველა სხვა წევრ ქვეყანასთან ერთად, გამოთქვა სურვილი, განეხორციელებინა 2030 წლისთვის დასახული მდგრადი განვითარების მიზნები და ამოცანები.

2016 წელს, საქართველომ, ერთერთმა პირველმა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წევრი ქვეყნებიდან, მდგრადი განვითარების შესახებ გაეროს მაღალი დონის პოლიტიკურ ფორუმზე (High Level Political Forum-HLPF) წარადგინა პირველი ნებაყოფლობითი ეროვნული მიმოხილვის (VNR) ამსახველი ანგარიში, ხოლო მეორე ნებაყოფლობითი ეროვნული მიმოხილვის ანგარიში საქართველოს მხრიდან წარდგენილ იქნა 2020 წელს. საქართველოს პრემიერ-მინისტრის 2020 წლის 23 იანვრის №14 ბრძანებით შექმნილი მდგრადი განვითარების მიზნების უწყებათაშორისი საბჭოს სხდომაზე წარდგენილ იქნა მდგრადი განვითარების მიზნების ადგილობრივ დონეზე დანერგვის გეგმა, რომელიც ერთხმად იყო მოწონებული საბჭოს წევრების მიერ.

გაეროს მდგრადი განვითარების 17 მიზანი:

მიზანი 1: სიღარიბის ყველა ფორმის აღმოფხვრა.

მიზანი 2: შიმშილის აღმოფხვრა, სასურსათო უსაფრთხოებისა და გაუმჯობესებული კვების მიღწევა და მდგრადი სოფლის მეურნეობის ხელშეწყობა.

მიზანი 3: ჯანსაღი ცხოვრებისა და კეთილდღეობის უზრუნველყოფა ყველა ასაკის ადამიანისათვის.

მიზანი 4: ინკლუზიური და თანასწორი განათლების უზრუნველყოფა და უწყვეტი სწავლის შესაძლებლობის შექმნა ყველასათვის.

მიზანი 5: გენდერული თანასწორობის მიღწევა და ყველა ქალისა და გოგონას შესაძლებლობების გაუმჯობესება.

მიზანი 6: წყლის მდგრადი მართვისა და სანიტარიული ნორმების დაცვის საყოველთაო უზრუნველყოფა.

მიზანი 7: ხელმისაწვდომი, საიმედო, სტაბილური და თანამედროვე ენერგიის საყოველთაო ხელმისაწვდომობა.

მიზანი 8: სტაბილური, ინკლუზიური და მდგრადი ეკონომიკური ზრდის ხელშეწყობა, სრული და პროდუქტიული დასაქმება და ღირსეული სამუშაო ყველასათვის.

მიზანი 9: მდგრადი ინფრასტრუქტურის შექმნა, ინკლუზიური და განვითარებული ინდუსტრიალიზაციისა და ინოვაციების ხელშეწყობა.

მიზანი 10: უთანასწორობის შემცირება ქვეყნებში და ქვეყნებს შორის.

მიზანი 11: ქალაქებისა და დასახლებების ინკლუზიური, უსაფრთხო და მდგრადი განვითარება.

მიზანი 12: მდგრადი მოხმარება და წარმოება.

მიზანი 13: კლიმატის ცვლილებისა და მისი ზეგავლენის წინააღმდეგ გადაუდებელი ზომების გატარება.

მიზანი 14: ოკეანისა და ზღვის რესურსების კონსერვაცია და მუდმივი გამოყენება განვითარებისათვის.

მიზანი 15: ხმელეთის ეკოსისტემების დაცვა, აღდგენა და ხელშეწყობა, ტყის მდგრადი მართვა, გაუდაბნოების წინააღმდეგ ბრძოლა, ნიადაგის დეგრადაციის შეჩერება და აღდგენა-გაუმჯობესება, ბიომრავალფეროვნების დანაკარგების შეჩერება.

მიზანი 16: მშვიდობიანი და ინკლუზიური საზოგადოების ჩამოყალიბების ხელშეწყობა მდგრადი განვითარებისათვის, მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობა ყველასათვის, ეფექტიანი, ანგარიშვალდებული და ინკლუზიური ინსტიტუციების მშენებლობა ყველა დონეზე.

მიზანი 17: პარტნიორობა მდგრადი განვითარების მიზნების მისაღწევად.

რაც შეეხება მდგრადი განვითარების მიზნების მუნიციპალურ დოკუმენტს, ის ეხება მდგრადი განვითარების 3 განზომილებას – ეკონომიკურს, სოციალურსა და გარემოსდაცვითს. იგი წარმოადგენს იმ მიზნების, ამოცანებისა და ინდიკატორების ადგილობრივ განსაზღვრებას, რომლის შესაბამისადაც დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტი უზრუნველყოფს საქმიანობის დაგეგმვას 2030 წლამდე.

დანართი N1

მდგრადი განვითარების მიზნების დედოფლისწყაროს მუნიციპალური დოკუმენტი

ჩვენი პოლონური არდადეგები

ჩვენი დელეგაცია 21 ადამიანისგან შედგება. ვიზიტი გურჯაანისა და პოლონეთის პიასეჩნოს მუნიციპალიტეტებს შორის 2018 წლიდან არსებული მეგობრობისა და თანამშრომლობის მემორანდუმის ფარგლებში დაიგეგმა. დელეგაციას კაჭრეთის კოლეჯ „აისის“ დირექტორი მალხაზ ასლამაზიშვილი ხელმძღვანელობს. აეროპორტში შეკრებილებს საპასპორტო რეჟიმის გავლა გვიწევს და გრძელ რიგში მოთმინებით ვდგებით... ოთხსაათიანი ფრენის შემდეგ ვარშავის შოპენის სახელობის აეროპორტში ვეშვებით, სადაც ჩვენი მასპინძლები მოუთმენლად გველიან. კოლეჯის „აისი“ თანამშრომლებსა და სტუდენტებს მასპინძლობას პიასეჩნოს თავჯდომარე ჯოანნა მუზინსკა ძიურნი გვიწევს.

გულთბილი შეხვედრის შემდეგ ტრანსპორტში გვანაწილებს და დანიშნულების ადგილას მივდივართ. აქ იწყება ჩვენი 5-დღიანი პოლონური თავგადასავალი, რომელიც დატვირთული გრაფიკის მიუხედავად, სასიამოვნო ემოციებით გვავსებს.

ვარშავიდან რამდენიმე კილომეტრში მდებარეობს პატარა ქალაქი გორა კალვარია, რომლის დაარსებაც იერუსალიმს უკავშირდება. ქალაქის არქიტექტურა ჯვრის ფორმისაა. ქალაქის თავდაპირველი სახელწოდებაც ასე ჟღერდა-„ახალი იერუსალიმი“, რომელიც მისმა ფუძემდებელმა იმ მიზნით დააარსა, რომ პოლონელ მომლოცველებს იერუსალიმში აღარ ევლოთ. აქ ბევრი ეკლესიაა, რომლებიც მათი წმინდანების ნეშტს დღემდე სათუთად ინახავენ.

„გორა კალვარიას“ მარტივი ისტორია არ ჰქონია-გვიხსნის გიდი, რომელიც ქალაქის დაარსების შესახებ გვიამბობს. ყველაზე რთული დღეები ამ ქალაქმა მეორე მსოფლიო ომის პერიოდში გამოიარა. მეორე მსოფლიო ომის წინა დღეს გორა კალვარიაში დაახლოებით 3500 ებრაელი ცხოვრობდა. როდესაც გერმანული არმია შევიდა 1939 წლის 8 სექტემბერს, ებრაელი მოსახლეობისთვის ტერორის მმართველობა დაიწყო. 1940 წლის აპრილსა და მაისში რამდენიმე ასეული ებრაელი ლოძიდან და მიმდებარე პაბიანიკედან და ალექსანდროდან გადაასახლეს გორა კალვარიაში. 1941 წლის იანვარში გორა კალვარიას ირგვლივ მდებარე მცირე უბნების ყველა ებრაელი მცხოვრები, რომლებიც დაახლოებით 300-ს ითვლიდნენ, ასევე იქ იყო კონცენტრირებული. 1941 წლის 25-26 თებერვალს ქალაქში მცხოვრები ყველა ებრაელი გადაიყვანეს ვარშავის გეტოში, სადაც მათ გაუზიარეს ვარშავის ებრაელების ბედი. ასობით ებრაელი დაიღუპა დაავადებითა და შიმშილით, დანარჩენი კი სიკვდილის ბანაკებში გადაასახლეს 1942 წლის აგვისტოში. ამ მწარე დღეების აღსანიშნავად ქალაქში მემორიალი არსებობს.

პოლონეთი არსებობის ათას წელზე მეტს ითვლის. ამ ხნის მანძილზე ქვეყანამ ბევრ გამოწვევას გაუძლო, ჰქონდა ოქროს ხანაც და დაღმასვლის პერიოდებიც, მაგრამ ყველაზე რთული დრო მან მეორე მსოფლიო ომის დროს გამოიარა. პოლონეთის მოსახლეობის საკმაოდ დიდ ნაწილს შეადგენდნენ ებრაელები, ამიტომ, ფაშისტური რეჟიმის პირველი დარტყმა პოლონეთმა მიიღო. კრაკოვთან ახლოსაა ოსვენციმის საკონცენტრაციო ბანაკი, რომელიც ისტორიას შემორჩა, როგორც ყველაზე საშინელი და გაუგონარი სისასტიკის სიმბოლო. დედაქალაქშიც და ყველგან, პატარა ქალაქებშიც, შეხვდებით მონუმენტებს, რომლებიც ფაშიზმზე დამარცხებისთვის ბრძოლის შეუპოვრობაზე გვიამბობს. „ვარშავის ცენტრში პატარა ბიჭუნას ქანდაკებაა. ის სიმბოლოა პატარა გავროშების, 8 წლის ბიჭების, რომლებიც იატაკქვეშა გაერთიანებაში ერთიანდებოდნენ პოლონეთის გადასარჩენად. მათ ყველას ერთი სიმბოლო აერთიანებდა, რომლის აბრევიატურასაც დღესაც შეხვდებით პოლონეთის ქუჩებში, ავტომობილებსა თუ შენობებზე...

პოლონეთის განმათავისუფლებელ მოძრაობას რომ ვერ მოერია, მაშინ მიიღო ჰიტლერმა ვარშავის დაბომბვის და მიწასთან გასწორების გადაწყვეტილება. სწორედ მაშინ დაინგრა ვარშავის სამეფო სასახლე, ისტორიული ძეგლი პოლონეთში, დედაქალაქის უძველესი შენობა.

სასახლე ააშენა XIII საუკუნეში ბოლესლავ II გულადმა. XVI საუკუნეში იტალიელი არქიტექტორის, ჯოვანი დი კვადროს ხელმძღვანელობით ჩაუტარდა რესტავრაცია რენესანსის სტილში, ხოლო XVIII საუკუნეში მეფის არქიტექტორმა, სანტა გუჩიმ, განახორციელა სამეფო სასახლის რეკონსტრუქცია ბაროკოს სტილში. მეფე სასახლეში გადავიდა 1611 წლიდან. XVIII საუკუნეში სასახლის ინტერიერი განაახლა სტანისლავ ავგუსტ პონიატოვსკიმ. სასახლის დანგრევამდე პოლონელებმა მოასწრეს, სრულად გადაერჩინათ ძვირფასეულობა, რაც ამ სასახლეში ინახებოდა.

სასახლის რეკონსტრუქცია 1970-იან წლებში პოლონელი ხალხის მიერ განხორციელდა. და დღეს, ვინც არ იცის სასახლის დანგრევის ფაქტი, ვერ მიხვდება, რომ ის ოდესღაც ფერფლისგან აღდგა. რეკონსტრუირებული შენობა ძველი სასახლის ზუსტი ანალოგია თავისი ნივთებითურთ.

მითების კვალდაკვალ...

პოლონეთი მდიდარია სასახლეებითა და ციხე-სიმაგრეებით. ყველაზე შთამბეჭდავი მაინც ვილანოვის სასახლეა, ქვეყნის ერთ-ერთი ყველაზე განსაცვიფრებელი სასახლე. ის არის ერთ-ერთი იმ მცირერიცხოვან ნაგებობებს შორის, რომელიც გადაურჩა დანგრევას მეორე მსოფლიო ომის დროს. სასახლის ფასადი ქალაქის არქიტექტურის ერთ-ერთი ყველაზე გამორჩეული ნაწილია თავისი კაშკაშა ყვითლად შეღებილი ბაროკოს სტილის ექსტერიერითა და განსაცვიფრებელი ბაღებით.სასახლის შიგნით არის მუზეუმი, რომელიც ეძღვნება ქვეყნის სამეფო და მხატვრული მემკვიდრეობის შენარჩუნებას სარმატული ხელოვნების უზარმაზარი კოლექციით, ასევე ქანდაკებებითა და ხელოვნების სხვა ნიმუშებით, რომლებიც წარმოგიდგენთ, როგორი იყო ცხოვრება პოლონურ სასახლეში.

ძველი სასახლეების მონახულების შემდეგ, საღამოს ვარშავის მოედანზე ვატარებთ. მთავარ მოედანზე ქალთევზას ქანდაკებაა-ვარშავის სიმბოლო. ხალხური ლეგენდა დედაქალაქის სახელის წარმოშობას მეთევზე ვარსსა და მის ცოლს, სავას, უკავშირებს. სავა იყო ქალთევზა, რომელიც თავდაპირველად ბალტიის ზღვაში ცხოვრობდა, შემდეგ ქალაქ გდანსკიდან მდინარე ვისლას დინებას აღმა აჰყვა და დღევანდელი ვარშავის ნაპირებზე გაჩერდა, სადაც მას მეთევზე ვარსი შეუყვარდა.სინამდვილეში ვარსი იყო XII-XIII საუკუნეებში მცხოვრები აზნაური, რომელიც ფლობდა სოფელს დღევანდელი ვარშავის ერთ-ერთი უბნის, მარიენშტატის მიდამოებში. ქალთევზა სავა კი დღეს ვარშავის სიმბოლოა და მის გერბზეა გამოსახული.

ზაფხულში მოედანი გადაიქცევა ბაზრად, სადაც შეგიძლიათ შეიძინოთ საკვები, დალიოთ ერთი ჭიქა ღვინო და დატკბეთ მზით, ხოლო ზამთარში მთელი ადგილი გადაკეთებულია საციგურაო მოედანად.მოედნის ირგვლივ ასევე არის რამდენიმე ღირსშესანიშნავი ტურისტული სანახაობა, როგორიცაა ვარშავის მუზეუმი, სადაც შეგიძლიათ გაიგოთ მეტი პოლონეთის შუასაუკუნეების ისტორიის შესახებ, ასევე წმინდა იოანეს არქიკათედრალის განსაცვიფრებელი ბაროკოს სტილის ფასადი. პოლონეთის მთავარი მდინარეა ვისტულა, რომელიც ქვეყნისთვის მნიშვნელოვან როლს ასრულებდა.

პოლონეთის სიმბოლო

პოლონეთის სიმბოლო შოპენია, კომპოზიტორი, რომელმაც მუსიკის წყალობით სახელი გაუთქვა თავის ქვეყანას. ქვეყნის პატივისცემა ამ გენიალური კომპოზიტორის მიმართ კი იმით გამოიხატება, რომ მას დიდებული მუზეუმი აუშენეს, რომელიც თანამედროვე სტანდარტების შესაბამისადაა მოწყობილი. ციფრული ტექნოლოგიების წყალობით შოპენის მუსიკის სამყაროში ვირტუალურადაც იმოგზაურებ.

ვახშამი ციხე – სიმაგრეში

საქართველო რომ ციხე სიმაგრეებითაა ცნობილი, კარგად იციან ჩვენმა მასპინძლებმა, რომლებიც უკვე სტუმრობდნენ ჩვენს ქვეყანას. საკუთარი ქვეყნის უკეთ გასაცნობად ძველ ციხეში გვეპატიჟებიან, რომელიც მათი ისტორიის განუყოფელი ნაწილია.

ჩერსკის ციხე აშენდა მეთოთხმეტე და მეთხუთმეტე საუკუნეების შემობრუნების მომენტში ჰერცოგ იანუშ I-ის მიერ, მას შემდეგ რაც მაზოვის მინა დედოფალ ბონა სფორცას მმართველობის ქვეშ პოლონეთის სამეფოს ნაწილი გახდა.

დედოფალი ბონა იტალიელი პრინცესა გახლდათ. მის სახელს უკავშირდება პოლონეთში როგორც იტალიური არქიტექტურის, ასევე კულინარიაში ბევრი საკმაზისა თუ სუნელის შემოტანა.

ციხეს ჰქონდა სამი კოშკი, რომელთაგან ერთი - ოთხმხრივი - გამოიყენებოდა მთავარ კარიბჭედ. 1656 წელს, შვედებთან ომის დროს, ციხე ნაწილობრივ დაინგრა, როდესაც უკანდახევამ სახმელეთო არმიამ სტეფან ზარნიეცკის მეთაურობით დაიპყრო და გაანადგურა სიმაგრე. ციხე აღადგინეს 1762-1766 წლებში მარსალკ ფრანცისეკ ბიელინსკის მეთაურობით. მოგვიანებით, პრუსიის დაყოფის დროს, პრუსიის ლიდერმა ბრძანა ციხის თავდაცვითი კედლების დანგრევა, რაც ამცირებს მის სამხედრო მნიშვნელობას, როგორც დასაყრდენს. მომდევნო წლებში ციხეზე აღდგენითი სამუშაოები არასოდეს ჩატარებულა. დღეს მხოლოდ კოშკები, მეთვრამეტე საუკუნის აგურის ხიდი და ციხის ჩრდილოეთი და აღმოსავლეთი ფრთები შემორჩენილი.

ჩერსკის ციხეში საზეიმო დახვედრას გვიწყობენ მასპინძლები. აქაა ქალაქის მერი, ტრადიციულ სამოსში გამოწყობილი კულინარები და ფოლკლორული ანსამბლის წევრები. ადგილობრივი კერძების დაგემოვნების შემდეგ, ცეკვის მასტერ კლასშიც მივიღეთ მონაწილეობა და ანსამბლის წევრების დახმარებით ვისწავლეთ ურზეცკის ცეკვა, რომელიც ქალაქის მერმა ჩვენთან ერთად შეასრულა.

განათლების სისტემა

დელეგაციის წევრები, ვიზიტის ფარგლებში, ვსტუმრობთ ბელინსკის სახელობის ტექნიკურ პროფესიულ სასწავლებელს, ლეიტენანტ ემილ გერჩანკის სახელობის ტექნიკურ პროფესიულ სასწავლებლს, პიასეჩნო N 3 და N 1 სასკოლო კომპლექებს.

უშუალოდ ვეცნობით იმ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებს, რომლის სწავლასაც ახორციელებენ დაწესებულებები, ასევე ვათვალიერებთ კოლეჯის მატერიალურ-ტექნიკურის ბაზას: სახელოსნოებს, ლაბორატორიებს, თეორიული სწავლების კლას-კაბინეტებს...

ვიზიტის მიზანი ქართულ და პოლონურ დაწესებულებას და მათ მოსწავლეებს შორის გამოცდილების გაზიარებაა.

ქართველები აქტიურად ვერთვებით კულინარიულ მასტერ-კლასებში და ტოლს არ ვუდებთ პოლონელებს-სიამოვნებით ვაკეთებთ ტრადიციულ კერძს და ვაგემოვნებთ კიდეც.

ვიზიტის ბოლო დღე სადისკუსიო პანელს ეთმობა. დებატების თემაა „განათლების სისტემა საქართველოსა და პოლონეთში ახალგაზრდების განვითარების პერსპექტივების და მათი პროფესიული კარიერის კონტექსტში“.

განათლება პოლონეთში ხუთი ან ექვსი წლის ასაკში (ასაკს ირჩევს მშობელი), ე. გ. „0“ კლასით (საბავშვო ბაღი) იწყება და შემდეგ, ექვსი ან შვიდი წლის ასაკში ბავშვი სწავლას დაწყებითი სკოლის (პოლონურად szkoła podstawowa) I კლასში აგრძელებს. სკოლებში ბავშვების დასჯა ოფიციალურად აკრძალულია 1783 წლიდან და 2010 წლიდან იგი ისჯება კანონით (სკოლებში, ასევე სახლში).

მეექვსე კლასის ბოლოს, როდესაც სტუდენტები უკვე 13 წლისები არიან, აბარებენ სავალდებულო გამოცდებს, რომლებიც საშუალო სკოლებში (გიმნაზჯუმ – საშუალო სკოლა ან დაწყებითი-საშუალო სკოლა) მათ მიღებასა და გადასვლას განსაზღვრავს. აღნიშნულ პერიოდში არსებობს რამდენიმე ალტერნატივა, რომელთაგან ყველაზე გავრცელებულია სამი წლის განმავლობაში ლიცეუმში ან ხუთი წლის განვალობაში პროფესიულ სასწავლებელში სწავლაა. მაგრამ თუ 5 წლის შემდეგ სტუდენტი არ ჩააბარებს მთავარ გამოცდას, ის უმაღლეს სასწავლებელში სწავლის გაგრძელებას ვეღარ შეძლებს.

-„ ჩვენმა ახალგაზრდებმა კარგი ურთიერთობა დაამყარეს ქართველ ახალგაზრდებთან, მათ აქვთ შესანიშნავი კონტაქტი ერთმანეთთან და იმედი მაქვს, რომ ჩვენი საერთაშორისო თანამშრომლობა მომავალშიც ისეთივე ინტენსიური იქნება, როგორც ეს წელს იყო“, - ამბობს ევა ლუგიანიეკი, პიაჩეზნოს ოლქის მრჩეველი.

ჩვენ ვემშვიდობებით პოლონეთს, ჩვენს გულთბილ მასპინძლებს მომავალი შეხვედრის იმედით.

ინგა შიოლაშვილი

პ.ს. ჩვენი დელეგაციისა და სტუდენტების სახელით დიდი მადლობა გვინდა გადავუხადოთ ბატონ მალხაზ ასლამაზიშვილს, ლამაზი და საინტერესო დღეებისათვის და კოლეჯის „აისი“ თითოეულ თანამშრომელს, რომლებმაც პოლონური დღეები დაუვიწყარ მოგონებად გვიქციეს.

„იაგუნდის მარანშია, ღვინო დგება ლალისფრისა“...

რთველში დაკრეფილ ყურძენს კახეთის მარნებში, უმეტესწილად, ფაბრიკული საწურავი მანქანით მოელის დაწურვა. მხოლოდ ზოგ მარანში არ გაუქმებულა მამა-პაპური საწნახელი.

ყურძნიან გოდრებს ძველად საწნახელში ჩაცლიდნენ. მის ძირში თავისებური საწურია გამართული-გარდიგარდმო გადაწყობილ ხის რიკებზე გადებულია წმინდად დაწნული ლასტი, ე.წ. ტუპკირი, რომელზედაც ვაზის ფოთოლია გაშლილი. დაწურვის დროს ყურძენი ლასტზე „ზედ არ გაილესება“, თანაც რიკებზე მაღლა მდგარი ლასტი ქვეშ თავისუფლად ატარებს ჭაჭაშეურეველ წმინდა წვენს.

გაივსებოდა ყურძნით საწნახელი და მწურავებიც საგულდაგულოდ იბანდნენ ფეხებს. ტრადიციულად, ყურძნის წურვა სამამაკაცო საქმეა. ფეხშიშველი, მუხლებამდე „შარვალაკვალთავებული“ ჩადგებოდნენ ყურძნით თავმობმულ საწნახელში.

ძველად, დიდ საწნახელში, ერთდროულად ორი-სამი კაცი წურავდა ყურძენს. დაწურვის დროს დინჯი, „მუხლის ამყოლი“ სიმღერა იცოდნენ:

„იაგუნდის მარანშია,
ღვინო დგება ლალისფრისა“...

მწურავი თავდაპირველად ჯერ აუჩქარებლად გაუვლ-გამოუვლის ყურძენს, „ნელ-ნელა დააყოლებს ტკეპნით“, როცა ყურძენი დაბლა დაიწევს, გამეტებით, ძლიერად „ჩასცემს ფეხს, გათქვეფამს“, ბოლოს ყურძნის ჭაჭა ქუსლებით გაისრისება, „გაიქუსლება“.

ნავ-საწნახელის ძირში დატანებული ხის ან თიხის მილიდან, რომელსაც კახეთში ინდური ჰქვია, ჯერ მღვრიე და ძალზე თხელი წვენი, „წინწანაქარი“ გადმოვა, შემდეგ „შუაწვენი“ მოჰყვება, ბოლოს კი ძალიან სქელი „უკანაწვენი“ ანუ, „გამონაქაჯი“ წამოვა.

დაწურული ყურძნის წვენი ტკბილი, მოედინება ინდურის ქვეშ შედგმულ ცაცხვის ღარზე, რომლის თავი ქვევრის პირამდეა გადებული .ღარს „უკან თავისივე ქუსლი აქვს შერჩენილი, რომ წვენი უკან არ წავიდეს“, წინ, ტუჩთან კი ქვევიდან ფოთოლი აქვს ამოკრული,- წვენი „უკან არ აიხვევს“ და არ დაიქცევა.

ქვევრს დაწურული ტკბილით მხოლოდ ბეჭებამდე დააცლიან გავსებას, იმ ვარაუდით, რომ ჭაჭის, „დედის მიცემის“ შემდეგ პირამდე ერთი-ორი მტკაველი დააკლდეს, ამგვარად „სადუღზე დაყენებულ“ ქვევრში ღვინო „დუღილში არ დაიღვრება“.

ტკბილს ქვევრში ჭაჭა მთლიანად დაეყრება, „თავის ნაწურს თავისი ჭაჭა მიეცემა“. წითელიცა და თეთრი ღვინოც მთლიანად ჭაჭაზე დადუღდება. სწორედ ამიტომაა ასე ფერიანი, სქელი და მაგარი კახური ღვინოები. საფერავის ტკბილს დედას დაწურვისთანავე მისცემენ, თეთრი ყურძნის წვენს კი, ჩვეულებრივ „ღამეგამოტარებულ“ ჭაჭაზე დაადუღებენ საწნახელში. ჭაჭას ნაპირზე მიტკეპნიან და დილამდე დატოვებენ. ამ ხნის განმავლობაში ჭაჭა გაყვითლდება. დილით მას აჩეჩავენ და ტკბილიან ქვევრში ჩააყოლებენ, ღამეგამოვლილი დედა „გააყვითლებს, გაალამაზებს თეთრ ღვინოსო“- იგონებდნენ ძველი მევენახეები.

ზოგი ქვევრი თავდახურული „იდუღებს. მას „სასულე“ ანუ „საქარე“ აქვს

დატოვებული: ქვის სარქველქვეშ დაგრეხილი წნელია მოყოლილი-დუღილის დროს „ჰაერის სამუშაოდ“, ოხშივარის გამოსასვლელად“. მცირე სადუღზე დაყენებული ქვევრები კი თავღიაა. მხრებში ჯვარედინად ჯოხები -„ხიდები“ აქვს გადებული, რომ ჭაჭამ დუღილში „ძალზე არ აინიოს და ღვინო არ დაიღვაროს“.

ქვევრში ტკბილი „სამი-ოთხი დღე მაგრა დუღს, ერთი გახურება- გახურდება, ჩახჩახებს, მერე დაშოშმინდება. ერთ კვირამდე ჩუჩუნებს, ჩუჩუნებს და გაცივდება, დადგება“.

„ხშირი დასახედია დუღილში“ ქვევრები. დღეში ორჯერ მაინც დაურევენ ქვევრს გრძელტარიანი დასარევით, რომელსაც ბოლოს „ჯვარედინად ჩხირები აქვს გაყრილი, რომ ჭაჭა წაიღოს ძირს“. ქვევრის პირზე ქუდივით შეკრულ ჭაჭას დასარევით გატეხავენ და მაგრად დაურევენ. დაბლა ჩაბრუნებული ჭაჭა ფერს უკეთესს გამოსცემს, არც ღვინო დამჟანიჭოს.

თანამედროვე ექიმები ამ მოსაზრებას იზიარებენ. ხარისხიანი ყურძნის ღვინოს ნამდვილად შეუძლია ახალგაზრდობის ელექსირი გახდეს.

თეთრ ღვინოში შემავალი ანტიმჟავები ორგანიზმს ფილტვების ნორმალურ ფუნქციონირებაში ეხმარება.

წითელი ღვინო კიბოს რისკს ამცირებს. იგი შეიცავს ანტიმჟანგავრესვერატორს, რომელიც განსაკუთრებით საჭიროა სიმსივნის პროფილაქტიკისათვის. ადამიანის ორგანიზმში რესვერატორი ხელს უშლის ავთვისებიანი უჯრედების გამრავლებას და ანთებით პროცესებს.

ვდება.

ქალებსაც საქმე უჩნდებათ-საჭმელ ყურძენს ლასტებით მზეზე ფენენ ჯოხებზე აბნეულს და აჩამიჩებენ, თათარას ადუღებენ, ჩურჩხელებს ავლებენ.

მარნებში კი კვლავ ქვევრებს დასტრიალებენ... თანდათან ნელდება დუღილი, დაწურვიდან მეცხრე -მეთერთმეტე დღეზე მაჭარი „დაშოშმინდება.“ უკანასკნელად დაურევენ ქვევრებს, სარევით „ჩატეხავენ“ ჭურჭლის პირზე მომდგარ ჭაჭას და ერთ- ორ დღეში კიდეც გადაიღებენ ღვინოს. წითელი ღვინო დადუღებისთანავე საჭიროებს გადაღებას- „თხლის გამორიდებას,“ რომ კლერტმა „არ „გაკრიჭოს“, ფერი არ დაუკარგოს. თეთრი ღვინო უფრო ამტანია, ერთი-ორი კვირაც დარჩება ჭაჭაზე. ზოგჯერ მას „თხლეზეც“ გადაავსებენ და გადაუღებლად ტოვებენ გაზაფხულამდე.როგორც ძველი მეღვინეები იტყოდნენ ხოლმე, „სანაქებოა თხლეზე დამდგარი ღვინო“. ჭაჭაზე ღვინო კეთდება, მაგარიც არის და „სათვალიოცო.“

ღვინის გადაღების შემდეგ ქვევრს „გაწყობილი საფარებელი“ სჭირდება. ქვევრის პირზე ვაზის ფოთოლს აფარებენ ან ხავსს დაუდებენ, ზედ ქვის სარქველს ადებენ, ზემოდან კი მინას დააყრიან და დატკეპნიან. ზოგჯერ სარქველს აყალო მიწით დაგოზავდნენ.

წლამდე დატოვებულ ღვინოს ოთხჯერ -ხუთჯერ სჭირდება გადაღება. პირველ გადაღებაზე ღვინო ჭაჭას „ გამოარიდეს“, შემდეგ მას ძირში დალექილი ლექი უნდა მოსცილდეს, გადაუღებელი ღვინო აიმღვრევა, გადაბრუნდება. ასეთ ღვინოზე „არავის მიუვა თვალიო“. განსაკუთრებული სიფრთხილე ღვინოს ზაფხულში სჭირდება. ამ დროს მარანს რწყავენ კიდეც, რომ სიცხემ არ „დაძალოს“, არ დაამჟავოს სასმელი.

საქართველოში, ტრადიციისამებრ, საპატიო სტუმარს ძველი ღვინით უმასპინძლდებიან. ახალ ღვინოსთან შედარებით ძველი უფრო სასიამოვნო დასალევია, მარგებელიც და ყუათიანიც. ძველ ღვინოდ წელგამოვლილ ღვინოს თვლიდნენ. მის დაძველებასაც საზღვარი აქვს. სასმელი საუკეთესო თვისებებს ოც-ოცდახუთ წლამდე ინარჩუნებს, ამის შემდეგ კი ღვინო „ბერდებაო“- ძაბუნდება და „წყალდება“- იგონებდნენ მეღვინეები. კახელი გლეხკაცი იტყოდა, „ღვინო კაცივითაა,- დაიბადება- ტკბილია, მისი ბავშვობა მაჭრობაა. მერე სიმაგრეს იკიდებს და ვაჟკაცდება, ერთხანს ძველობს, კაი ჯანიანი მუშაკაცივითაა, მერე-ბერდება, ძალა აკლდება და სული სძვრება“.

ძველ ღვინოს ხალხურ ლექსებში ქებით იხსენებენ. ანდაზადაც ხომ თქმულა: „პურ-ღვინო ძველი სჯობია“.

„ღვინო მალალი (სათუთი) შესანახია. ღვინოს უთქვამს-„მომიარე და მეც მოგივლიო“. მხოლოდ გულმოდგინე და წესიერი მოვლით დგება უზადო და საღი ღვინო.

კახეთში თავანკარა ღვინის გარდა წყალნარევი ღვინოც იყო მიღებული, ქიზიყში მას „ტოპკირას“ უწოდებდნენ. ყურძნის დაწურვის შემდეგ საწნახელის ძირში დაგებულ ლასტს, ტოპკირს „წყალს გადაავლებდნენ“, ტკბილში აურევდნენ და მასაც ღვინოდ დაადუღებდნენ.

ფეოდალურ საქართველოში, მეფედიდებულთა კარზე, მეღვინეობა მეღვინეთუხუცესს ევალებოდა.

ფრანგი სწავლული დიუბუა დე მონპრე, რომელმაც მეცხრამეტე საუკუნის პირველ ნახევარში, აღმოსავლეთი საქართველო შემოიარა, აქაური ღვინოებით მოიხიბლა. აქ, ისევე „მშვენიერია ღვინო, როგორც ჰომეროსის დროს“-ვკითხულობთ მის „მოგზაურობაში“. ქართული ღვინის მოტრფიალეთა რიცხვს მიეკუთვნება ალექსანდრე დიუმა(მამა), რომელსაც არაერთხელ უგემნია „საუცხოო კახური“ და საამაყოდ დარჩენია მოგონება, რომ თბილისში მის პატივსაცემად გამართულ წვეულებაზე ღვინის სმაში მასპინძლებს აჯობა. აი, როგორ იხსენებს ის კახურ სუფრას:„აქ სვამენ ზამთარ-ზაფხულ, ყველგან და ყოველთვის, მაგრამ არავინ თვრება, აქ სმას არ ზრახავენ, თქვენ მოგმართავენ-დალიე, და თქვენც, თუ შეგიძლიათ, სვით ბევრი და მაშინ თქვენსას გაიკვირვებენ, მაგრამ ვაი, თუ დაკარგეთ გრძნობა, უზომოდ მსმელს შერჩება წარუხოცელი დაღი ლოთისა. ერთი სიტყვით, აქ ბევრს სვამენ, იმდენს, რამდენსაც არ სვამენ და არც შეუძლიათ დალიონ არც ფრანგებს, არც ესპანელთ, არც იტალიელთ, არც ბერძნებს, და მიუხედავად ამისა, არ ყოფილა შემთხვევა, ლოთობის გაჩენისა“.

დალი ბაღაშვილი,
მხარეთმცოდნეობის მუზეუმის სპეციალისტი

ღვინო- ახალგაზრდობის ელექსირი

ღვინო ცხოვრების ნაწილია, მისი გონივრულად და ზომიერად მოხმარების პროპაგანდას ჯერ კიდევ პლატონი ეწეოდა:

„ბავშვებს 18 წლამდე ღვინო არ დაალევინოთ, 30 წლამდე ადამიანებს ნება მიეცით ზომიერად დალიონ, 40 წლის ზემოთ უფლება აქვთ, დიდი ნადიმობის დროს სასურველი რაოდენობით შესვან“.

ბრძენმა პლატონმა მშვენივრად იცოდა , რომ ღვინოს შეუძლია სიბერის ტვირთი შეამციროს, დააბრუნოს ახალგაზრდული სიმკვირცხლე, გაფანტოს ნაღველი, შეცვალოს ზნე-ხასიათი და სხეულს მოქნილობა და სიმარდე მიაყურძნის ღვინოში უნიკალური კომპონენტი სულ ხუთია.

1.ეთილის სპირტი-ანტიმჟავა აბრკოლებს თრომბის წარმოქმნას, ათეროსკლეროზის განვითარებას, იცავს სტრესისა და იონიზირებული რადიაციისაცან.

2. ორგანული მჟავები ღვინოს გემოს არომატს განსაზღვრავენ, ბაქტერიების ზრდა -განვითარებას აფერხებენ.

3.მინერალური მარილები- 250 მლ. ღვინო მარილების მოთხოვნილების 3-10%-ს აკმაყოფილებს, ხოლო იოდისა ფთორის 50%-ს.

4.ვიტამინები ღვინოში უფრო მეტია , ვიდრე მაჭარში, 250 მლ ღვინო ყველა ვიტამინის დღიურ მოთხოვნას 5%-ით აკმაყოფილებს.

5.პოლიფენოლები, ბუნებრივი ანტიმჟავები დაბერების პროცესს ანელებენ.

საყოველთაოდ ცნობილია, რომ დღეგრძელი ადამიანები ყოველდღიურად საღილის შემდეგ ჭიქა - ღვინოს სვამენ.

მთავარი მაინც ღვინის მოხმარების კულტურა - ღვინომ რომ სარგებლობა მოგიტანოთ და არ გავნოთ , ხარისხიანი ღვინო ზომიერად , დოზით, უნდა მიირთვათ.

გოდერძი გონაშვილი,
მეღვინე

„ფეხბურთი ჩემთვის ყველაფერია“...

6 ოქტომბერი მწვრთნელის საერთაშორისო დღეა. რედაქციაში ველოდები კოლორიტ ადამიანს, რომელიც 50 წელია მწვრთნელია. სტუმარი წუთიწუთზე მოვა, მაგრამ მის სახელს ვერ ვიხსენებ... ალბათ იმიტომ, რომ მას დედოფლისწყაროში სახელით თითქმის არავინ იცნობს, ყველა „ჩალაბას“ უწოდებს. „სტადიონი ოჯახზე წინ მაქვს დაყენებულიო“ — ამბობს ზურაბ ჩალაბაშვილი. ბალახსაც თავად კრეჭს, რომ მოედანი ხარისხიანი და მოვლილი იყოს. გაზეთი „შირაქი“ მისი მწვრთნელობის 50 წლიანი ისტორიით დაინტერესდა და ჩალაბა მასწავლებელს ესაუბრა.

ზურაბ ჩალაბაშვილი: „დედოფლისწყაროში დაბადებული და გაზრდილი ვარ. მამა მეცხვარეობის ბრიგადირი იყო, დედა ბიბლიოთეკარი. უნდა ითქვას, რომ ოჯახი ხელს არ მიწყობდა ჩემს სპორტულ გეგმებში. ერთ წელიწადს მამაჩემი ცხვარში ჩემს გამო არ წავიდა. თუ სწავლა არ გინდა, წამოდი იმუშავეო. 60-იან წლებში ხან თოხში დავყავდი, ხან კომბაინზე მამუშავა, სიცხესა და მტვერში, რთულ პირობებს მიქმნიდა, რომ მეგრძნო სწავლის აუცილებლობა და ფასი. მაგრამ მისთვის არ მიგრძნობინებია, რომ დავიღალე, ან რთული იყო. ისეთი დრო იყო, სკეპტიკურად უყურებდნენ ბურთს და სწავლას მთხოვდნენ. სწავლაში კი ვერ ვიყავი იმდენად გამართული. როცა შეამჩნია, რომ მაინც ბურთი მაინტერესებდა, ბოლოს მითხრა: რაც გინდა ის გააკეთეო. ასე რომ, მთელი ცხოვრება მარტო ვიყავი ჩემს მიზნებთან. არავინ მყოლია გვერდით მდგომი და ბიძგის მიმცემი. ყველაფერი, რაც გამაჩნია, ჩემი შრომითა და ადამიანობით მივაღწიე. დაწყებით კლასებში ვიქნებოდი, როცა წითელწყაროს სტადიონზე შემთხვევით გავიარე და ხმაური მომესმა. ბიჭები შტანგას წევდნენ. ფიზიკური მონაცემები კარგი მქონდა და როგორც ჩანს მწვრთნელს მოვეწონე. ვცადე მეც და წარმატებით ავწიე. შემაქეს და სტიმული მომეცა, ამის შემდეგ რამდენიმე თვე ვიარე. შემდეგ კალათბურთი და ფრენბურთიც ვცადე. მძლეოსნობაზეც ვიარე, რეკორდსმენი ვარ გარბენში და მერე იყო ფეხბურთი.

მწვრთნელმა 1964 წლიდან ფეხბურთის გუნდში შესვლა შემომთავაზა, დანარჩენ სპორტის სახეობებს შევეშვი და აქ დავიწყე ვარჯიში. 1966 წელს უკვე იმ დონეზე მოვემზადე, რომ რაიონის ნაკრებში ამიყვანეს. წითელწყაროს ნაკრებში 1996 წლამდე ვთამაშობდი და მერე ქვეყანაში ყველაფერი აირია. ბავშვობიდან ბურთი ძალიან მიყვარდა, ამიტომ, ყველა სპორტი მაინტერესებდა, სადაც ბურთია. პატარაობისას უბანში სულ ფეხბურთს ვთამაშობდით. დიდი სიყვარული მქონდა სპორტის ამ სახეობის მიმართ. იმდენად დიდი ემოცია ჩაინერგა, რომ ბევრ სპორტში მოვსინჯე ძალები, მაგრამ ბოლომდე მაინც ფეხბურთში დავრჩი. უფროს თაობასაც ვხედავდი და მინდოდა მათ გვერდით მეთამაშა. მწვრთნელი გვყავდა **მერაბ ოსიევი,** საუკეთესო სპეციალისტი. თბილისელი იყო, მაგრამ აქ ჩამოიყვანეს ბავშვთა ფეხბურთის მწვრთნელად, ასევე რუსულ სკოლაში ფიზკულტურის მასწავლებლად მუშაობდა. პირველად მან მათამაშა სერიოზული ფეხბურთი.

— ***ვინ იყო თქვენთვის სტიმულის მიმცემი, თუ გყავდათ კუმირები?***

— ზოგადად, ფეხბურთში ბევრი მსოფლიო ვარსაკვლავი იყო, მაგრამ მე პელესთან ვერცერთს ვერ დავაყენებ. საბჭოთა კავშირის მოთამაშეებიდან ყველაზე მეტად რუსი ფეხბურთელები მომწონდა. შესტიანოვი მიყვარდა, როგორც ჩამოყალიბებული პიროვნება, დისციპლინის მოყვარული და საუკეთესო მოთამაშე. ასევე სტრელცოვი იყო ძლიერი. ბევრი კარგი მოთამაშე იყო, მაგრამ მე სპორტსმენში ძალიან ვაფასებ დისციპლინას, ესენი სწორედ ასეთები იყვნენ. თავადაც ძალიან დისციპლინის მოყვარული ვიყავი, ყვითელი და წითელი ბარათები არასოდეს მიმიღია, რაც იმას ნიშნავს, რომ წესების დარღვევისთვის მოედნიდან მსაჯებს არასოდეს გავუძევებივარ. წითელწყაროს რაც შეეხება — **იბრა გონაშვილის** თამაში და მანერები ძალიან მომწონდა. სულ იმას ვამბობდი, ნეტა მასავით მეც მათამაშა მეთქი. ბოლოს მართლაც მის გვერდით დავდექი, ერთად ვთამაშობდით და აქედან უფრო დაიწყო ჩემი აღმასვლა. უფროსებში დავასახელებ **კაენა ნატროშვილს, ფარიკო ალუღიშვილს, გივი ელიზბარაშვილს,** ბევრი კარგი მოთამაშე იყო. 11 ბავშვი პირდაპირ გადაგვიყვანეს რაიონის ნაკრებში, ეს პატარა საქმე არ იყო. ძლიერები ვიყავით. ნაკადში შეიძლება 3-4 ძლიერი გაიზარდოს მაგრამ, ერთბაშად 11 მოთამაშე, საუკეთესო შედეგია. ასეთი კარგი თაობა იყო. არაჩვეულებრივი მეკარე გვყავდა, **კოლია ერმაკოვი.** უძლიერესი მოთამაშე იყო. ასევე ჩვენი მეკარე იყო **დათო ოზაშვილი.**

— ***როდის იყო რაიონში ოქროს ხანა ფეხბურთისთვის?***

— ჯარიდან რომ ჩამოვედი, 1971-72 წლებში ძალიან წარმატებული პერიოდი გვქონდა. ნაყოფიერი წლები იყო, მაშინ ყველაზე საუკეთესო გუნდი გვქონდა, კარგად ვთამაშობდით. მერე რაიკომის მდივანი შეიცვალა, ლოლაძე მოვიდა და გუნდი დაგვიშალა. ფინანსები არ გვაქვსო და გაგვაჩერა. წითელწყაროში ფეხბურთი სულ რომ არ ჩამკვდარიყო, 1973-84 წლამდე გუნდი ყოველწლიურად დამყავდა აღმოსავლეთ საქართველოს ზონალურ პირველობაზე. შემდეგ ჭარაქაშვილი მოვიდა რაიონის ხელმძღვანელად და მან შემომთავაზა, რაიონის გუნდი გავაკეთოთო და 1985 წლიდან აღდგა ჩვენი გუნდი. იმავე წელს გადავედით მეორე ლიგაში. ეს ჩვენთვის დიდი წარმატება იყო, თამაში არ წაგვიგია და ასე დაიწყო ისევ აღმავლობის პერიოდი. 1996 წელს ისეთ დონეზე განვვითარდით, რომ პირველ ლიგაში მოვხვდით და საკმაოდ წარმატებით ვთამაშობდით, მაგრამ პერიოდი ისეთი დაემთხვა, გამოსავალი არ იყო. აღარც დაფინანსება არსებობდა. მაშინ უკვე 44 წლის ვიყავი, მაგრამ მაინც ვთამაშობდი და თან მწვრთნელი ვიყავი. ხშირად ნისიად მივდიოდით შეჯიბრზე, მერე გამგეობა აღარც ტრანსპორტის ფულს გვაძლევდა და მძღოლებთან უხერხულად ვიყავით.

— ***ახლა რამდენად გაქვთ ხელშეწყობა?***

— წლების მანძილზე სპორტის ყველა სახეობას აძლევდნენ კვების დაფინანსებას, ფეხბურთისა და რაგბის გარდა. ბოლო რამდენიმე წელია ჩვენი ბავშვებიც იღებენ. ახლა ტრანსპორტსა და მგზავრობაზე პრობლემები აღარ გვაქვს. ამ მხრივ უკეთესი ხელშეწყობაა, რომელიც პერიოდულად უმჯობესდება. ყველას ახსოვს, ცენტრალური სტადიონი და იქ არსებული ჩვენი შენობა რა ვითარებაში იყო. ახლა კი ორიოდ წელია რაც გარემონტდა, სველი წერტილები მოეწყო, უკეთეს პირობებში ვართ. შედარებაც არ შეიძლება.

— ***ბოლო ხანს ძლიერი ნაკადი რომელი გყავდათ?***

— 89-90 წლებში დაბადებული ბიჭების ჯგუფი ძლიერი და წარმატებული იყო. მათ ვიტალი დარასელიას სახელობის თასი მოიგეს და გაგრძელდა მათი რესპუბლიკური მნიშვნელობის წარმატებებით. ნიჭიერი ბავშები ყველგან არიან, მაგრამ როცა წარმატებისთვის სასურველ ასაკში შედიან, მერე გარემო პირობების გამო ველარ ვითარდებიან და ტოვებენ სპორტს. გასული 50 წლის განმავლობაში მყავდა მოსწავლე, რომელიც საქართველოს ნაკრებში აიყვანეს და რამდენიმე თვის შემდეგ, მისივე დაუდევრობის გამო გამოუშვეს. იყვნენ ბიჭები, რომელთაც უმაღლეს ლიგაში ითამაშეს. მაგალითად **მოსე მოსაშვილი,** რომელმაც საჩხერეში ითამაშა უმაღლესი ლიგა. ასევე ტოკლიკიშვილმა მიაღწია უმაღლეს ლიგამდე.

ცხოვრებას რომ გადავხედავ ხოლმე, სიმართლე გითხრათ, უკმაყოფილო არ ვარ. ისეთი ოჯახიდან არ ვიყავი, რომ დიდი მოთხოვნები და ამბიციები მქონოდა. ჩემს შესაძლებლობებს რაც აღემატებოდა, ამ ყველაფერს მივაღწიე დაუღალავი შრომითა და მუდმივი მუშაობით. მიუხედავად იმისა, რომ ყველაფერი ისე არ არის, როგორც მინდა რომ იყოს, მაინც კმაყოფილი ვარ ჩემი განვლილი გზით. ვგრძნობ, რომ მაფასებენ, პატივს მცემენ. ბევრი თაობა გავზარდე. გასულ წლებში რაიონის ხელმძღვანელობის ყურადღებაც ვიგრძენი, როცა ჩემი საიუბილეო თარიღები აღნიშნეს, 65 და 70 წლისთავისადმი მიძღვნილი ტურნირები ჩავატარეთ. სამი შვილი და ექვსი შვილიშვილი მყავს, ამიტომ თავს ბედნიერად ვთვლი.

მძლეოსნობა მრავალ სახეობას მოიცავს და 15 კაციანი გუნდები იყო ხოლმე, წითელწყაროდან კი მხოლოდ ოთხნი გავდიოდით და წარმატებით ვიმარჯვებდით. მე, **თენგიზ გუმაშვილი, ოთარ სისაური** და **დომენტი მარტყოფლიშვილი.** გუმაშვილი ძლიერი იყო ბირთვისა და ბადროს ტყორცნაში, მე სირბილში, სისაური და მარტყოფლიშვილი კი საბჭოთა კავშირის პრიზიორები იყვნენ შუბისა და უროს ტყორცნაში. ეს ჩამოთვლილი ბიჭები საქართველოს მასშტაბით ყოველთვის ხუთეულში ვიყავით და მძლეოსნობაში წითელწყაროს სახელით გავდიოდით.

— ***მწვრთნელობაზე ფიქრობდით, თუ უნებურად მოხდა?***

— არა, ახალგაზრდობაში წინასწარ არ მიფიქრია ამაზე. რადგან დიდი შემართება მქონდა და სხვა სპორტისკენ არ ვიყურებოდი, რაიონის ხელმძღვანელობამ შენიშნა და მთხოვდნენ ხოლმე. ასე გავხდი მწვრთნელიც.

— ***რა არის ბავშვებთან ურთიერთობა და რას სწავლობთ მათგან?***

— რადგან ფეხბურთი მიყვარს, თავისთავად ფეხბურთით დაინტერესებული ბავშებიც მიყვარს. მომავალი თაობა თუ არ აღიზარდა, ისინი გაიზრდებიან, წავლენ და ჩამნაცვლებელი აღარ იქნება. ამიტომ, უწყვეტი პროცესია. ბავშვებთან დისციპლინა პირველ რიგში აუცილებელია. მიღებისთანავე ვეუბნები ყველას, რომ ჯერ უნდა ვიყოთ ადამიანები, სწორად აღზრდილი ახალგაზრდები და შემდეგ ვიფიქროთ ფეხბურთსა და სპორტულ წარმატებებზე. დისციპლინით ყველაფერს მიაღწევ ცხოვრებაში, თუ არადა, ისე შრომა არ ღირს. მყოლია ისეთი ბავშვებიც, როცა წესრიგს არღვევდნენ და ასეთ შემთხვევებში მკაცრი ვარ ხოლმე. 2-3 ბავშვს დავატოვინე ჯგუფი, წინააღმდეგ შემთხვევაში ისინი სხვა ბავშვებს აიყოლიებდენ და ცუდი მაგალითის მიმცემი იქნებოდნენ. ყოფილა შემთხვევა, ასეთი ბავშვები წლების შემდეგ დიდ ჯგუფში მოსულან და მერე უკვე კარგად იცოდნენ დისციპლინის ფასი. მადლობაც უთქვამთ, თქვენმა მკაცრმა მიდგომამ დაგვაფიქრაო. ბავშვების აზღრდა ოჯახებში უჭირთ და ჩვენც ასე ვართ. ყველამ უნდა იცოდეს თავაზიანობა, უფროს-უმცროსობა. ვარჯიშის დროს არავითარი ონავრობა, აუცილებელია სერიოზული დამოკიდებულება. თუ ხედავენ, რომ არ გამოსდით, თავადვე ხვდებიან და ცდილობენ სპორტის სხვა სახეობაზე გადავიდნენ. მე არცერთი ბავშვისთვის არ მითქვამს, რომ არ შეუძლია და ფეხბურთის თამაში ვერ გამოსდის. არც ვეტყვი ამას, მაგრამ ძირითადად თვითონვე ხვდებიან ხოლმე. რთულია და დიდი პასუხისმგებლობაა ბავშვებთან მუშაობა. პერიოდულად გადამზადების კურსებს გავდივარ, განვაახლე სპეციალური ლიცენზიაც და აქტიურად ვმუშაობ ბავშვებშიც. ამჟამად დედოფლისწყაროში ოთხი ლიცენზირებული მწვრთნელია ფეხბურთში.

სამომავლო გეგმებს რაც შეეხება, ამჟამად გოგონათა გუნდი მყავს ძლიერი და ძირითადად მათზე ვამყარებ იმედს. ქალთა ფეხბურთი ძალიან პოპულარულია, ამჟამად მეორე ლიგაში თამაშობს 16 გუნდი, ხოლო უმაღლეს ლიგაში 8 ქალთა გუნდია. ამას ემატება ბავშვთა გუნდებიც. ამჟამად ჩვენც ძლიერი გოგონები გვყავს. ვინც ნახა და სადაც წავიყვანე, ყველა გაოცებულია. მეორე ლიგაში რატომ არ თამაშობთ ასეთი კარგი გოგონები რომ არიანო. თუკი მერიის მხარდაჭერა იქნება და ფინანსური ხელშეწყობა გვექნება, შეგვიძლია გაისად მეორე ლიგაშიც ვითამაშოთ. არის რეალური პერსპექტივა, რომ მუნიციპალიტეტში ხელშეწყობის შემდეგ დამატებით ფედერაციამაც გამოყოს 20 000 ლარი, რაც გოგონათა გუნდს მოხმარდება და მეტი სტიმული მიეცემათ ბავშვებს. ინტერესიც მეტი გაჩნდება. ადრე, როცა წითელწყაროს სტადიონზე ვთამაშობდით, 3000 მაყურებელი ეტეოდა და სულ ივსებოდა. იმედია, ახლაც იქნება ინტერესი.

ვფიქრობ 2015 წელს დაბადებული მოზარდებისგან კიდევ ერთი გუნდი ჩამოვაყალიბო, გამოვზარდო და ამით დავასრულო მუშაობა. არარეალური საუბარი არ მიყვარს და პირდაპირ რომ გითხრათ, ამ თაობაში ამჟამად დიდი ჩავარდნა გვაქვს. სკოლის მშენებლობამაც ხელი ძალიან შეგვიშალა, ორცვლიანი სწავლა შებინდებისას მთავრდება და იძულებულები ვხდებით ჩვენი ვარჯიშები უკვე დაღამებისას ჩავატაროთ, რაც გარკვეულ შეფერხებებს იწვევს, ბევრი ველარ ახერხებს, ბევრსაც ეზარება. თაობებში ასეთი ჩავარდნები ხდება ხოლმე, ჩემს კარიერაში სამი-ოთხი თაობა იყო, რომლებმაც განსაკუთრებით ეფექტურად იმუშავეს, ალღო ადვილად აუღეს და წარმატებებს მიაღწიეს. თაობები იცვლება და ისინი ყოველთვის განსხვავდებიან ერთმანეთისგან, ამიტომ აღზრდის მეთოდიკას დიდი მნიშვნელობა აქვს, რომ ყველა თაობას მოერგო. მეცადინეობაზე რომ დამესწროთ იქ ერთმანეთის მიმართ უხეშ დამოკიდებულებას, ბილწსიტყვაობას, ან უდისციპლინობას ვერ გაიგონებთ. არადა, სხვა გუნდებში ხშირად შემინიშნავს ეს და ძალიან გამკვირვება. ხშირად მწვრთნელების მიმართვები და მიდგომებიც არ მომწონებია სპორტსმენების მიმართ. ბავშვებთან განსაკუთრებული მიდგომაა საჭირო და ბევრი რამ არ შეიძლება. რაც არ უნდა დააშავოს და შენიშვნა მისცე, აუცილებელია, მან თავი შეურაცხყოფილად არ იგრძნოს. იუმორი და ხუმრობა სხვა არის, მაგრამ თავი დამცირებულად არ უნდა იგრძნონ.

ესაუბრა

ილია მარტყოფლიშვილი

„იარე ლიზა“ — ისტორიები აფხაზეთის ომიდან ახალ ფილმში

ზემო მაჩხაანელი ჟურნალისტის, ლია ტოკლიკიშვილის სცენარის მიხედვით ეროვნულმა კინოცენტრმა აფხაზეთის ომზე ახალი ქართული დოკუმენტური ფილმი „იარე ლიზა“ გადაიღო. რეჟისორმა ნანა ჯანელიძემ ფილმში აფხაზეთის კონფლიქტი ასახა. ფილმის პრემიერა გასულ კვირას საქართველოს კინოთეატრებში შედგა. პარალელურად გამოიცა ლია ტოკლიკიშვილის წიგნი „ნიუტონას დღიური“, რომელიც სულაკაურის გამომცემლობამ დაბეჭდა და უკვე იყიდება.



ლია ტოკლიკიშვილი ამჟამად საზოგადოებრივი მაუწყებლის გამომძიებელი ჟურნალისტია, თუმცა 90-იან წლებში ის თბილისში, გაზეთ „7 დღეში“ მუშაობდა და აფხაზეთის ომს აშუქებდა. სწორედ ადგილზე ნაანხი და იმ პერიოდში დაწერილი ისტორიები გააერთიანა და ორმხრივი ტრაგედიები ასახა ჟურნალისტმა. ფილმის მთავარი გმირიც ჟურნალისტი ქალია. ფილმში მთავარ როლს ასევე ჟურნალისტი და მწერალი ეკატერინე ტოგონიძე ასრულებს.

„ნიუტონას დღიური“ სამი ლიტერატურული თხზულებისგან შედგება: „ნიუტონას დღიური“, „მიწა“ და „მკვდარი ქალაქის ჩანაწერები“. კრებულის ავტორი, ჟურნალისტ ლია ტოკლიკიშვილის აფხაზეთის ომის შთაბეჭდილებებით, გამოცდილებითა და განცდებით არის შექმნილი მისი მოთხრობები. ამ კრებულში ჩანს, როგორი გავლენა მოახდინა ომმა და ომის შემდგომმა პერიოდმა ჟურნალისტზე, რომელიც ომის პირველ დღეებში მხოლოდ საკუთარი ხალხის სიმართლეს ხედავდა. ამ გამოცდილებამ, ომის გზაზე შეხვედრილი ადამიანების ისტორიებმა, ომის შემდეგ გაგრძელებულმა ძიებებმა მას დაანახა, რომ სახელმწიფოს შიდა ომებში მართალი მხარე არ არსებობს. მოთხრობების პერსონაჟი ჯარისკაცები უყოყმანოდ იხოცებიან სამშობლოსთვის, მაგრამ იმასაც აღიარებენ, რომ მათი თანამებრძოლების ერთი ნაწილი სასტიკად და უსამართლოდ ექცევა აფხაზებს, არანაკლებ, ვიდრე აფხაზები ექცევიან ქართველებს. ლიას მოთხრობების გმირები ჰყვებიან აფხაზების ავკაცობაზე, მაგრამ ჰყვებიან მათ მიერ გაკეთებულ სიკეთეებზეც; ჰყვებიან აფხაზების მიერ გაჟლეტილ ქართველებზე, მაგრამ ჰყვებიან ქართველების მიერ მიწასთან გასწორებულ აფხაზურ სოფლებზეც.

ლია ტოკლიკიშვილი: „დარბაზშიც ვთქვი და აქაც ვიტყვი: იქნებ ფილმმა შეძლოს იმის გაკეთება, რაც ვერ შეძლო ვერცერთმა ხელისუფლებამ საქართველოში: უთხრას მსოფლიოს, რომ უკრაინამდე იყო საქართველო რუსეთის აგრესიის პირისპირ. პატარა ქვეყანა, რომელმაც ერთი წელი გაუძლო რუსეთის გაწვრთნილ შენაერთებთან ბრძოლას. და რომ ორმა ხალხმა: ქართველებმა და აფხაზებმა დაკარგეს ერთი სამშობლო.

იმ წლებიდან წამოღებული ცოდნით უნდა დავბრუნდეთ აფხაზეთში და აფხაზებთან. რუსულ იარაღს ქართულ-აფხახური ერთობა დაამარცხებს. ეს ფილმი ჩვენზეა, ჩვენს პროფესიაზე. იმაზე, რომ ქართველმა ჟურნალისტებმა უკრაინელ კოლეგებზე ადრე გამოვიარეთ რუსეთის წინააღმდეგ ომის კოშმარი. და მხოლოდ მაგ რუსეთსა და ზოგიერთ ადგილობრივ უგუნურს ჰგონია, რომ ამ ომში დავმარცხდით. ეს ფილმი იმაზეა, რომ გამარჯვება კიდევ შეიძლება!

ვისაც მეხსიერებიდან არ წაგშლიათ იმ ომის მტანჯველი მოგონებები და აფხაზებისა და აფხაზეთის - სამშობლოს ნოსტალგია; ან ვისაც მემკვიდრეობად გერგოთ ამ ომის მძიმე შედეგები. უკრაინისგან განსხვავებით, რუსეთის მიერ საქართველოს მაშინდელი ოკუპაციის შესახებ ვერც მაშინდელმა და ვერც შემდგომმა ხელისუფლებებმა ვერ გააგონეს ხმა მსოფლიოს. რომ რუსეთის ანგარიშსწორების პოლიტიკა მისი გავლენისგან გაქცეული ქვეყნების მიმართ საქართველოში დაიწყო. რომ რუსეთმა და საქართველოს პრორუსულმა პოლიტიკამ დააკარგვინა აფხაზეთი ქართველებს და, პრაქტიკულად, აფხაზებსაც. რომ ამ ომზე ბევრი რამ გვაქვს სათქმელი ქართველებსაც. აფხაზებსაც.

ეს წიგნი კი ალბათ მას შემდეგ იწერებოდა, როცა პირველად წავედი ომში „7 დღიდან“ ჩემს კოლეგებთან ერთად, ნირწამხდარ, რუსის ჯარს შეტოვებულ, უიარაღო ბიჭებს ჩავუტანეთ იმედი, რომ მარტო არ არიან, იქიდან კი ჩამოვიტანეთ ომის ჯერ არნახული, უცხო ამბები თავისთვის მყოფ, სიმშვიდეში გამოკეტილ ქალაქში.

ჩვენ მაშინ ვწერდით ამ სიმშვიდის გასატეხად. ომში მივდიოდით ავტოსტოპებით, პოლიციის პოსტიდან პოსტამდე. ზოგჯერ ფეხით გავდიოდით კილომეტრებს, რომ ჩაგვეღწია ჯარისკაცებამდე, რომელთაგან ზოგი ჩვენი მეგობარი იყო, ზოგი იქ წინა ჩასვლების დროს დამეგობრებული. ვწერდით გაზეთისთვის, ვწერდით ჩვენთვის. ვახმაურებდით ომის დაფარულ, სამხედრო წრეებში ჩაკეტილ ამბებს, ვიგერიებდით ამ ამბების გახმაურებისთვის ჩვენს დასასჯელად მოვარდნილ შეიარაღებულებს, არ გვეშინოდა. მათ იარაღი ჰქონდათ. ჩვენ ვწერდით. წერა გვიცავდა. ეს ჩვენი იარაღი იყო. მაშინ ამ იარაღმა გადაგვარჩინა.

როცა იმ ომიდან ბევრი წელი გავიდა, ზუსტად მივხვდი, რომ იმ ომის მაშინ გადარჩენილი ამბები, ჩვენს მახსოვრობაში და ჩვენს დავიწყებულ გაზეთში დარჩენილი, უნდა ერთხელ კიდევ ამოგვეძახა. ამ ამბებით არის ეს წიგნი სავსე. ეს ამბები მივიტანე რეჟისორ ნანა ჯანელიძესთან, რომელმაც ფილმ „იარე ლიზაში“ გააცოცხლა.

მაქვს განცდა, რომ რაღაც დიდი ვალი მოვიხადე იმ წლებისა და იმ ჯარისკაცების წინაშე. სხვანაირად არ შემეძლო. იქ ვერ გავჩერდებოდი, სადაც მაშინ ომმა გაგვაჩერა“.

ფილმსა და ახლადგამოცემულ წიგნზე საუბრისას ლია ტოკლიკიშვილი იქვე იმასაც მიანიშნებს, რომ უკმაყოფილო ადამიანების და პროტესტის მოლოდინიც აქვს. საზოგადოებაში აჟიოტაჟი ჯერ კიდევ ფილმის გამოსვლამდე დაიწყო. ოპოზიციის წარმომადგენლები აღნიშნავენ, რომ ფილმის ზოგ ეპიზოდში ქართველი ჯარისკაცები უარყოფით კონტექსტშია წარმოდგენილი. ფილმის ავტორები კი მიიჩნევენ, რომ შერიგება ორივე მხარის შეცდომებზე საუბრის გარეშე არ გამოვა და დრო დადგა სიმართლეს თვალი გავუსწოროთ.

ილია მარტყოფლიშვილი

გიორგი (გიგო) ტარსაიძე – ქართული ოფთალმოლოგიის ფუძემდებელი

ებრაულ, ირანულ,სომხურ თუ ქართულ საფლავებში, ცნობილ ბოჟარჯიაცნებს, დანიელ ჭონქაძეს, ლავრენტი არდაზიანს, ალპინიზმის ფუძემდებელ ჯაფარიძეებს, ტელეგრაფისტ ძმებ სიმენსებს, იზბაშიანებს, აზარიანცებს, მრევლიშვილებს, გირგიდოვებს, ძმებ ანანოვებს, საქართველოს გეოგრაფიის ფუძემდებელ აღნიაშვილებს, ქიქოძეებს და ალექსანდრე ბაგრატიონ-მუხრანელს შორის აღმოჩნდა ძველი, შელახული ქვა.

ქვის ერთ გვერდზე გიორგი (გიგო) ალექსანდრეს-ძე ტარსაიძის დაბადებისა და გარდაცვალების წლები (1857-1904), ხოლო მეორე გვერდზე, არც მეტი-არც ნაკლები, აკაკი წერეთლის ლექსი იყო დატანილი, რომელიც მგოსნის კრებულის მესამე ტომში იპოვნეს, სახელწოდებით „ტარსაიძის ხსოვნას“:

„შეიუვარეო მოუვასი შენი!
ეს იუო ქვეუნად ქრისტეს მოძღვრება
და ამანაც ეს შეისისხლხორცა
ვით წმინდა მცნება და ნეტარება.
უუვარდა მოძმე, განურჩეველად
გვარ-ტომობისა ეჯირა თვალი,
ხორციელადა თვალის ექიმი
სულიერადაც იუო მკურნალი.
მაგრამ სოფელმა აღარ აცალა,
ქვეუნის მუშაკი მოსპო უდროდ,
და უწეინარი, მოსიუვარულე,
აქ განისვენებს ამიერ მეუდროდ!
“იუო სოფელში და სოფელს არგო”
დატოვა ქვეუნად წმინდა სახელი!
სამაგალითოდ იუოს ამ ქვეუნად
მისი ნეტარი სახსენებელი!”

იმ მომენტისათვის, ამ სასიქადულო პიროვნების ვინაობა ჩრდილის ქვეშ იყო, ეროვნულ არქივშიც მისი ერთადერთი ფოტო მოიპოვებოდა, ნინო ერისთავ-ბეგთაბეგოვის არქივიდან.

გიორგი ტარსაიძე დაიბადა 1857 წლის 8 ივლისს, გორის მაზრის სოფელ ბერუშეთში. იყო პირველი ქართველი ექიმი, რომლის ძირითადი პროფესია ოფთალმოლოგობა გახლდათ. მან განათლება საზღვარგარეთ მიიღო, დაბრუნდა თბილისში და კაბინეტი თავდაპირველად საკუთარ სახლში გახსნა, სადაც სრულიად უსასყიდლოდ მკურნალობდა სნეულებს. გიგო ტარსაიძის სახლი დღევანდელი ქიაჩელის ქუჩაზე მდებარეობდა, მისი თვალის კლინიკა კი - უკანა ეზოს მეორე მხარეს, ცნობილი ახვლედიანის (პეროვსკაიას) ქუჩის №7-ში.

1892 წელს გიორგი ტარსაიძის თაოსნობით თბილისში გაიხსნა თვალის სნეულებათა საქველმოქმედო საავადმყოფო (რიგით მესამე რუსეთის იმპერიის მასშტაბით, მოსკოვისა და პეტერბურგის კლინიკების შემდეგ), რომლის დირექტორიც გარდაცვალებამდე თავად გახლდათ.

ამ საავადმყოფოს ბაზაზე, თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელმწიფო უნივერსიტეტის გახსნის შემდეგ, რომლის ცნობილი შენობის (დღვანდელის პირველი კორპუსის) ასაშენებელი მიწის ნაკვეთის შეძენაშიც ტარსაიძეს დიდი წვლილი მიუძღვოდა, ჩამოყალიბდა თვალის სნეულებათა კლინიკა.

უწინ გიორგი ტარსაიძის სახელს ატარებდა თვალის დაავადებათა რესპუბლიკური კლინიკური საავადმყოფო (ამ საავადმყოფოს ბაზაზე არის შექმნილი ამჟამად მოქმედი მრავალპროფილური კლინიკა „ნიუ ჰოსპიტალსი“).

გიორგი ტარსაიძე არის ევროპული ტიპის ქართული ოფთალმოლოგიური სკოლის ფუძემდებელი. მას საპატიო ადგილი უჭირავს ქართული მედიცინის ისტორიაში:

„ტფილისში თვალის სატკივარის სამკურნალოს დაარსების პროექტი უკვე დაუმტკიცებია შინაგან საქმეთა მინისტრს. ამიტომ უსინათლოთა სამზრუნველოს ამიერ-კავკასიის განყოფილებას დაუქირავებია აღნიშნულ სამკურნალოსთვის შენობა ტფილისის პირველ ნაწილში, საპიორის ქუჩაზედ. ამ სამკურნალოში ყოველ დღე გარედგან მოსიარულე თვალით ავადმყოფთ მიიღებენ და ამას გარდა სამკურნალოშიაც ოთხი განყოფილება იქნება გამართული. სამკურნალოს გამგედ დანიშნულია ტფილისის ექიმი ბ-ნი ტარსაიძე“, - გაზეთი „ივერია“, 22 ოქტომბერი, 1892 წ.

გიგო ერუდირებული ექიმი და დახელოვნებული ოპერატორი გახლდათ, რომელიც ზედმიწევნით ფლობდა ოფთალმოლოგიური კვლევების მეთოდებს. იგი დამსახურებული პოპულარობით სარგებლობდა მთელს კავკასიაში. მისმა პროფესიონალიზმა საწინდარი ჩაუყარა ქართული ოფთალმოლოგიური სკოლის შემდგომი თაობების სიძლიერეს. ტარსაიძის მოსწავლეები იყვნენ შემდგომში ცნობილი ოფთალმოლოგები: ვახტანგ მუსხელიშვილი, ალექსანდრე შატილოვი, კ.თოფურიძე. ტარსაიძის უშუალო ხელმძღვანელობითა და ინიციატივით საქართველოს მაზრებსა და რაიონებში ნაყოფიერ მუშაობას ეწეოდნენ ე. წ. „თვალის მფრინავი რაზმები“.

გიგოს უფროსი ძმა, ნიკოლოზ ტარსაიძე, ცნობილი იურისტი და საზოგადო მოღვაწე გახლდათ, რომელმაც ქართულ სასამართლოში პირველად შემოიღო საქმის ქართულ ენაზე წარმოება. საინტერესოა, რომ გიორგი ტარსაიძის შვილი, მწერალი და კადეტი ალექსანდრე ტარსაიძე ემიგრაციაში, ამერიკაში მოღვაწეობდა, რომლის შესახებაც დღემდე ინახავს ინფორმაციას სტენფორდის უნივერსიტეტი. იგი აშშ-ში, ნიუ იორკში, ნოვო-დიდეევოს მართლმადიდებლური მონასტრის ეზოშია დაკრძალული.

როგორც დასაწყისში ლექსიდან მივხვდით, გიგო 1904 წლის 24 დეკემბერს, თბილისში საკმაოდ ახალგაზრდა, 47 წლის ასაკში გარდაიცვალა. მისმა მეგობარმა, ნიკო ლომოურმა ტარსაიძეს მოთხრობა „პატარა მეგობრები მიუძღვნა“.

„ნიუ ჰოსპიტალსის“ „ოფთალმოლოგიის ეროვნულ ცენტრში“ 2018 წლის 11 ოქტომბერს, მხედველობის მსოფლიო დღის აღსანიშნავად, გიორგი ტარსაიძის, როგორც ქართული ოფთალმოლოგიის ფუძემდებლის, ბიუსტი გაიხსნა.

არხილოსკალოში ჯვარი აღიმართა

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის სოფელ არხილოსკალოში 27 სექტემბერს ჯვართამაღლების დღე გამორჩეულად აღინიშნა. ადგილობრივების ძალისხმევით აქ უზარმაზარი მანათობელი ჯვარი დადგეს, რომელიც საგანგებოდ ჯვართამაღლებას დაამთხვიეს. პროცესს ესწრებოდნენ ხორნაბუჯისა და ჰერეთის ეპარქიის სასულიერო პირები, რომელთაც ამ ისტორიულ ადგილზე ლოცვა აღავლინეს.

როგორც ცნობილია, ახლადაგებული ეკლესიის ეზოში სულ ახლახან გადასახედი მოეწყო, რამაც ამ ადგილს სხვა დატვირთვა შესძინა. გვერდით ბორცვზე კი ათეულობით წელია გმირთა მემორიალი დგას, სწორედ აქ აღიმართა 20 მეტრი სიმაღლის ოქროსფრად შეღებილი ლითონის ჯვარი. აქედან საოცარი ხედი ჩანს. ხელისგულზე იშლება მდინარე ალაზანი, დედოფლისწყაროს ალაზნისპირა სოფლები, ხოლო მდინარის გაღმა მნახველის თვალწინ იშლება ულამაზესი ისტორიული ჰერეთი. სწორედ საზღვარს მიღმა, მუსულმანურ სამყაროში დარჩენილი ქრისტიანი ქართველებისთვის შორიდან დანახული ეს ჯვარი იმედის სხივი იქნება. ჩანაფიქრიც სწორედ ეს იყო.

არხილოსკალოს ღვთისმშობლის ხარების სახელობის ეკლესიის მშენებლობა ჯერ დასრულებული არ არის. ტაძარი ასევე შემოწირულობით შენდება და მცირე დეტალებია დარჩენილი. მისი წინამძღვარია დეკანოზი ზაქარია ყველაშვილი. როგორც ადგილობრივები გვიყვებიან, ამ ეტაპისთვის შიდა სამუშაოები მიმდინარეობს. ცნობილია ისიც, რომ ამ საზღვრისპირა სოფლებში ქრისტიანული ტაძარი არ არსებობს, ამდენად მრავალი წელია ადგილობრივებს ლოცვა სამლოცველო სახლებში უწევთ.

ფატი ამირიძე (ისტორიკოსი, ისტორიის მასწავლებელი): „ჯვართამაღლების დღესასწაულზე ეკლესიასთან ახლოს გორაზე დიდი ზომის ჯვარი აღიმართა. მისი ინიციატორი ჩვენი ეკლესიის მრევლი შოთა მნათობიშვილია. ზეიმი წინა დღეს დავიწყეთ. საგანგებოდ მოვრთეთ ჩვენი უსაყვარლესი ტაძარი დილის წირვისთვის. ვიცოდით, რომ მამა ზაქარია ეპარქიიდან სტუმრებს ელოდებოდა. წირვის შემდეგ სოფლის მოსახლეობა და მრევლი შეიკრიბა რათა დასწრებოდნენ ამ მნიშვნელოვან მოვლენას. აღიმართა ჯვარი, რომელიც შემდეგ მამა ზაქარიამ აკურთხა. ეს ისეთი სიხარულის მომენტი იყო სიტყვებით ამის გადმოცემა არ შემიძლია. მწამს და მჯერა, რომ ეს ჯვარი დაიცავს და დაიფარავს ჩვენს სოფელს და სრულიად საქართველოს. ასევე მცველი იქნება ჩვენს სამშობლოს მოკვეთილი მიწა-წყლისა, რომელსაც ძველ ჰერეთი ანუ საინგილო ჰქვია. სოფელი არხილოსკალო დედოფლისწყაროს ერთ-ერთი გამორჩეული სოფელია. გადმოცემით ვიცით, რომ ეს სახელი შაჰ აბასის ერთ-ერთი შემოსევის დროს დარქმევია. სასტიკ დამპყრობელს მთელი სოფლის ბავშვები ხორბლის გასალეწ კალოში ჩაუყრია გასალეწად. დარბევისგან შეშინებული მოსახლეობა თურმე გაჰყვიროდა: არ იხილოს თქვენმა თვალებმა ასეთი კალოო. ეს ტკივილი დღემდე შემორჩა ჩვენს

სოფელს, მკვიდრი მოსახლეობა და ეკლესია დღემდე იხსენებს კალოში გალეწილ ყმაწვილებს და ამ მიწას წმინდად მიიჩნევს. ამიტომ აშენდა სოფელში ხარების სახელობის ეკლესია, რომლის მშენებლობაც პატრიარქმა აკურთხა. ამჟამად მშენებლობა ნიკოლოზ ბენიაიძის თაოსნობით და სხვა კეთილი ადამიანების დახმარებით დასრულებულია. დღეს ამ ტაძარში წირვა-ლოცვას აღასრულებს დეკანოზი ზაქარია ყველაშვილი. სოფლისთვის და ქრისტიანი მრევლისთვის ეს ტაძარი უმნიშვნელოვანესია და დიდ საგანძურს წარმოადგენს“.

ცნობისთვის: 27 სექტემბერს მართლმადიდებელი ეკლესია ჯვართამაღლების დღესასწაულს აღნიშნავს. ღვთის განგებით, მაცხოვრის ჯვარცმიდან სამასი წლის შემდეგ ქრისტიანებმა მანამდე დაკარგული უდიდესი ქრისტიანული სიწმიდე - ცხოველსმყოფელი ჯვარი უფლისა ისევ მოიძიეს და მისი თაყვანისცემის შესაძლებლობა მიეცათ. ეს მოხდა 326 წელს, მოციქულთასწორი იმპერატორის, კონსტანტინე დიდის (306-337) დროს. კონსტანტინე დიდის ბრძანებით დაიწყო ქრისტეს აღდგომის ტაძრის მშენებლობა, რომელსაც გოლგოთა და უფლის საფლავი უნდა მოეცვა. ტაძარი დაახლოებით ათ წელს შენდებოდა და იკურთხა 335 წლის 13 სექტემბერს. მომდევნო დღეს, 14 სექტემბერს დაწესდა პატიოსანი და ცხოველსმყოფელი ჯვრის ამაღლების დღესასწაული. ამ დღეს იხსენიება მესიის ჯვართან დაკავშირებული კიდევ ერთი მოვლენა - 14-წლიანი ტყვეობის შემდეგ მისი დაბრუნება სპარსეთიდან იერუსალიმში.

ილია მარტყოფლიშვილი

10 ოქტომბერი — ღვინის დღეები

ღვინის დღეები 2023

10 ოქტომბერი დედოფლისწყაროს კულტურის სახლის მიმდებარე ტერიტორიაზე:

- 17:00-21:00 კახური ღვინის დეგუსტაცია და გამოფენა-გაყიდვა;
- 17:00-21:00 კვების სივრცე: დედას პური, მწვადი, ყველი, ჩურჩხელა; ქართული ნუგბარი;
- 17:00-21:00 პურის ცხობა, ჩურჩხელების ამოვლება, თათარას მომზადება;

17:00-20:00 თიხით ძერწვის და თიხაზე ხატვის გაკვეთილები;

- 17:00-17:30 მეგა ბუშტებით საზეიმო მსვლელობა;
- 17:00-20:00 საბავშვო გასართობი სივრცეები და აქტივობები: ყურძნის დაწურვის ჩემპიონატი, ღვინის ფიალების მოხატვა და სხვ;
- 17:00- 19:00 ქართული ცეკვის გაკვეთილები - ცეკვის აკადემია „სუხიშვილები“;
- 19:00-21:00 კონცერტი: „ქართული ხმები და ბენდი“ , ჯგუფი - „გუფი ლენდი“.

ამინდი — დედოფლისწყარო

	ორშაბათი 02.10	სამშაბათი 03.10	ოთხშაბათი 04.10	ხუთშაბათი 05.10	პარასკევი 06.10	შაბათი 07.10	კვირა 08.10
დღე	21°	22°	18°	19°	20°	17°	16°
ღამე	12°	13°	12°	11°	10°	10°	8°

გამომცემელი შპს „შირაქი“
დირექტორი ინგა შიოლაშვილი
რედაქტორი ილია მარტყოფლიშვილი
წერილში მოყვანილ ფაქტებსა და ციფრებზე პასუხს აგებს ავტორი.

სარედაქციო კოლეგია: ჟუჟუნა ყანჩაშვილი (ჟურნალისტი); ელზა ხარაშვილი (სტილისტ-მენეჯერი); ხათუნა ბენაშვილი (კორექტორი); ნათელა ბოსტაშვილი (ბუღალტერი); ნიაზი ჯანაშვილი (ოფის-მენეჯერი); მზია ქენქაძე (საქმის მწარმოებელი).
გაზეთი აიწყო და დაკაბადონდა „შირაქის“ კომპიუტერულ ბაზაზე.
ყოველკვირეული გამოცემა იბეჭდება შ.პ.ს „კოლორ პრესის“ სტამბაში.

რედაქციის მისამართია: ქალაქი დედოფლისწყარო, ფიროსმანის №18,
☎ 0 356 22 22-85;
598 72-18-72 (დირექტორი)
593 275-275 (რედაქტორი)

რეგისტრირებულია დედოფლისწყაროს რაიონის სასამართლოს მიერ, №6014-468.
გაზეთის გამოწერა წელიწადში – 20 ლარი